# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 9 ივნისი 2001 №106 (1379) | ფასი 50 თეთრი

## სარბიელის ახალი პრიზი ახალ პატრონს!



ახლა, როცა საქართველოს ნაკრები ისევ აგებს, ევროპას დიდი ხნით დაშორებული ქართული კლუბები კი ნაჩემპიონატევს ახალ ევროსეზონს ელიან, გულისმომკვლელ შედეგთა შეჯამების და მოლოდინის ჟამია. ასეთ დროს, იქნებ, უხერხულიცაა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელზე ლაპარაკი, მაგრამ „სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვის შედეგებიც უნდა შეჯამდეს.
50-მდე სპორტულმა ჟურნალისტმა ახალი საუკუნის შესაფერად ახლებურადვე დამზადებული „სარბიელის" პრიზი განვლილი სეზონის საუკეთესო მოთამაშეს პირველად არგუნა. ამ ლაურეატის და მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის რჩეულის ვინაობას სამშაბათის „სარბიელში" შეიტყობთ.

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 9 ივნისი. ბაქო. 15 საათი

## აზერბაიჯანი — საქართველო

# ქართველებთან მარცხს შეგუებულნი
## ჩვენს კალათბურთელებს სოლიდურად მოგების მეტი არაფერი სურთ

გიორგი გიქაშვილი ბაქოდან

გუშინ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ბაქოს გაემგზავრა. დღეს ჩვენი ეროვნული გუნდი აზერბაიჯანს შეხვდება ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში.

გუნდი გუშინ, დილის ათ საათზე შეიკრიბა თბილისის სპორტის სასახლესთან და ნახევარი საათის შემდეგ ავტობუსით გზას გაუდგა. აზერბაიჯანის საბაჟო-საზღვარზე ერთსაათიანი შეყოვნების შემდეგ კალათბურთელები მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე გადავიდნენ და ბაქოს შეუფერხებლად მიაღწიეს. შეჩერდნენ სულ ერთხელ, სასადილოდ, და საღამოს 10 საათზე უკვე აზერბაიჯანის დედაქალაქში იყვნენ.

ნაკრები ბაქოს ცენტრში მდებარე სასტუმრო „აფშერონში" დაბინავდა. აქედან დარბაზამდე, სადაც მატჩი გაიმართება, თხუთმეტი წუთის სავალია. გუშინ ქართველებს არ უვარჯიშიათ, გვიანი იყო და დასვენება არჩიეს. გუნდი დღეს დილის ათ საათზე ივარჯიშებს, მატჩი კი სამ საათზე დაიწყება.

საქართველოს ნაკრებში ოპტიმისტური განწყობაა. მოთამაშეებს სოლიდურად მოგების გარდა არაფრის გაგონება არ სურთ. აზერბაიჯანის გუნდის წევრები და იქაური კალათბურთის მესვეურებიც აღიარებენ ჩვენებურთა სიძლიერეს. ამბობენ, ქართველებთან, ცხადია, დავმარცხდებით, ამ ეტაპზე ჩვენ უფრო გამოცდილების შეძენა გვსურსო. მართლაც, აზერბაიჯანის სანაკრებო კალათბურთი პირველ ნაბიჯებს დგამს და ამ საკვალიფიკაციო ტურნირშიც იმიტომ მონაწილეობენ, რომ ხელისუფლება და მთავრობა კალათბურთით დაინტერესონ.



რამდენ ქულას ჩაუგდებს ნიკა ცქიტიშვილი აზერბაიჯანელებს?

# გუგა: ნაადრევიდან ნაღდ ფინალში!
## კორეჩა: ჩუმად, ფრანგებო!



REUTERS

კვირას გუსტავო კურტენი როლან გაროსის მესამე ტიტულს შეუტევს

გუშინ პარიზში სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირის — როლან გაროსის ვაჟ ფინალისტთა ვინაობა გაირკვა.
მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გუსტავო კურტენმა ნაადრევ ფინალად შერაცხულ მატჩში „მოსკიტოდ" წოდებული ხუან კარლოს ფერერო იქით დაკბინა ტყვიასავით დარტყმებით და კვირას მესამე პარიზული ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებს. მისთვის ხელის შეშლას ალექს კორეჩა შეეცდება. ესპანელმა გუშინ მასპინძელთა ჯილა სებასტიან გროჟანი და მისი მხარდამჭერი 16 ათასი ფრანგი ჩააჩუმა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# დორტმუნდული შანსი

## შაშიაშვილს გერმანიაშიც ჩაუსაფრდებიან

**ბოლო** დროს ერთობ დაწინაურდა თბილისის „დინამოს“ 21 წლის მცველი გიორგი შაშიაშვილი. ის ეროვნულ გუნდშიც მიიწვიეს, დებიუტი 9 მაისს აზერბაიჯანის ნაკრების წინააღმდეგ ჰქონდა. ყიფიანმა და ძოძუაშვილმა იტალიასთან მატჩისთვისაც გამოიძახეს შაშიაშვილი, თუმც დინამოელი ოდენ სათადარიგოში იყო. უნგრეთთან თამაშისთვის კი გიორგი ახალგაზრდულ ნაკრებს დაუთმეს და სწორედ ამ მატჩის შემდეგ ერთმა გერმანელმა გვერდზე გაიხმო ჩვენებური...

„თამაშის მერე დორტმუნდის „ბორუსიას“ მენეჯერი დამელაპარაკა, მითხრა, შენით დაინტერესებულნი ვართო. შემდეგ ჩემი მონაცემები ჩაიწერა და „დინამოსთან“ ჩემი კონტრაქტის თაობაზეც ჩამომიგდო სიტყვა. ბოლოს კი დამპირდა, „დინამოს“ გერმანული შეკრების დროს საკონტროლო მატჩებს რომ გამართავთ, მაშინ კიდევ ერთხელ დაგაკვირდებითო“ — გვითხრა ბუდაპეშტიდან თბილისში დაბრუნებულმა გიორგი შაშიაშვილმა.

საკონტროლო მატჩი ერთის მხრივ დიდი არაფერი ბედენაა, მაგრამ „დინამოს“ გერმანიაში ბუნდესლიგელებთანაც აქვს დაგეგმილი თამაშები. ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერ არაა, ისე კი წინასწარი შეთანხმებით „დინამო“ „ფრაიბურგს“, „კიოლნსა“ და „ლევერკუზენს“ დაუპირისპირდება. შაშიაშვილსაც მათთან მოუწევს თავის გამოჩენა „ბორუსიის“ მენეჯერ მიხაელ მაიერის თანდასწრებით.

**დავით თაგართქილაძე**



გიორგი შაშიაშვილი

# გეგუჩაძე გორდას შვდის



გია გეგუჩაძე

**მიუხედავად** იმისა, რომ გია გეგუჩაძემ „გორდადან“ წასვლის შესახებ განაცხადა, კვლავაც რუსთავული კლუბის მთავარ მწვრთნელად რჩება.

გეგუჩაძეს „გორდადან“ წასვლის სურვილი მას შემდეგ გაუჩნდა, როცა გუნდის მომავლისთვის აუცილებელი პირობების შესრულების გარანტია ვერ მიიღო კლუბის ხელმძღვანელობიდან.

გია გეგუჩაძე პრეტენზიული მწვრთნელი არ გახლავთ და უსაშველოს არც არაფერს სთხოვს რუსთაველებს. მისი მოთხოვნები ელემენტარულია და, წესით და რიგით, უმაღლესი ლიგის ბინადარი გუნდის მესვეურებს მისი შესრულება არც უნდა უჭირდეთ.

მაინც რას ითხოვს ასეთს გეგუჩაძე?

„წლეულს აღებულ კურსს არ უნდა გადავუხვიოთ. „გორდა“ ახალგაზრდული გუნდია, ეს ბირთვი უნდა შევინარჩუნოთ და ფეხბურთელებს ელემენტარული პირობები ჰქონდეთ, რათა ბოლომდე გამოავლინონ შესაძლებლობები. აუცილებელია ფარმ-კლუბის ყოლა და სამომავლოდ ნიჭიერი ფეხბურთელების გაზრდა, რასაც მინიმუმ ერთი მოედანი მაინც სჭირდება, ამიტომ „ფოლადის“ გვერდით მდებარე სათადარიგო მოედანი მოსაწესრიგებელია“ — ასეთია გეგუჩაძის აზრი და ამის თაობაზე მას პასუხი ჯერაც არ მიუღია. „სხვაგვარად რუსთავში დარჩენის მოტივაციას ვერ ვხედავ“ — თვლის ახალგაზრდა მწვრთნელი და ამიტომაც გადაწყვიტა, გუნდს დაშორებოდა. მაგრამ, ეტყობა, „გორდას“ მესვეურები გამოფხიზლდნენ და გუშინ გეგუჩაძესთან ერთად მოსალაპარაკებლად მაგიდას მიუსხდნენ. „ხელმძღვანელებისგან საბოლოო პასუხს 15 ივნისს მივიღებ. მანამდე ისინი გადახედავენ ფინანსურ შესაძლებლობებს და თავიანთ მოსაზრებას გამაცნობენ. ასე რომ, 15 ივნისამდე კვლავაც „გორდას“ მთავარი მწვრთნელი ვარ“ — გვითხრა გუშინ გეგუჩაძემ.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ჩვენი მეტოქე

## ლისაბონის ბილეთი 100 000 $ ღირს



ლადისლაუ ბოლონი

**რუმინეთის** ნაკრების მთავარ მწვრთნელის ლადისლაუ ბოლონით ლისაბონის „სპორტინგის“ დაინტერესებაზე ამას წინათ გაუწყეთ და იქვე ბოლონის დასტურის ამბავიც გამცნეთ.

რუმინელი ლისაბონს 7 ივნისს უნდა ჩასულიყო და კონტრაქტიც გაეფორმებინა. ოღონდ, ამ საქმის საბოლოოდ მოკვარახჭინებას ერთი გარემოება უშლიდა ხელს.

ბოლონის რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტით ჯერ კიდევ ორი წელი აკავშირებს, ჰოდა, ფედერაციის თავკაცებმა პორტუგალიისკენ მაცქერალ მწვრთნელს ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, საკონპენსაციოდ 100 000 დოლარი მოსთხოვეს.

ძალიან კი უნოდა ბოლონის „სპორტინგის“ მწვრთნელობა, მაგრამ 100 000 $ ან არ ჰქონდა, ან კიდევ უბრად მყოფ რუმინული ფეხბურთის მამებისთვის გადახდა დაენანა. აქეთ კიდევ, პორტუგალიელებმაც არ გაიკრეს ჯიბეზე ხელი. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ლადისლაუ ბოლონი ისევ რუმინელთა მთავარი მწვრთნელია. ამ თანამდებობაზე რომ საქმეს რიგიანად უძღვება, საკუთარ თავზე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმაც გამოსცადეს. აქვე ისიც დავამატოთ, რომ ბოლონის რუმინეთმა 2 და 6 ივნისს უნგრელებს და ლიტველებს მოუგო, ქულთა მარაგი ექვსით გაიმდიდრა, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მოკალათდა და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე თამაშის შანსიც შეინარჩუნა.

**გიორგი ცუხაძიძე**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

# ენგო

### პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი: ენგო (ენგელბერტ პონტელავა) — ნერვიულობისგან მეტყველების დეფექტი გაუჩნდა და თენგო (თენგიზ პონტელავა, მისი ძმა), იგივე სლიშკომა.

მოქმედება ხდება ენგოს სახლში, დიდ ოთახში. თენგო სტუმრადაა მისული.

ენგო: კკკკკკ...
თენგო: კაზიოლი?
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): კიიიიიი...
თენგო: კიტრი გინდა?
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): კიდდდდდ...
თენგო: ფეხებზე კიდია?
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): კიდდეეეე...
თენგო: კიდე თუ მაქვს? კი, ტო ... შვილი ვიყო.
ჯიბიდან იღებს ანაშას
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): კკიდე ნნნნნნ...
თენგო: კიდე წილში გინდა ყოფნა? ვა, ჩემი დედა, წილი ვინ მოგიტეხა, დავჭრი მაგის...
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): კკიდე ნნაააა...
თენგო: კიდე ნამალი გინდა? მეთქი, პროსტომც მოწევა გინდოდა. სალამოს გავჩითავ, რა
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): კკიდე ნნავვვ...
თენგო: კიდე ნავიდეთ ნაშებში? ნამო, ტო, ასდოლარიანები ვიცი, კუკლა გოგოები
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): კკიდე ნავაააა...
თენგო: აა, მურმანაზე ამბობ, ტო? მეთქი, რას ბაზრობს... ნავაგოიმოთ და დავაგოიმოთ რამდენიც გინდა. ნამო, ვაზშე მაყუთი შევაწეროთ
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): კკიდე ნნავაგე
თენგო: ე, ჩემი დედა, რამდენი, ტო? იყომარე და რამე?
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): ფფფფფ...
თენგო: ფული გაქ ჩასატანი?
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): ფეეეე...
თენგო: ფედიასთან? ეგ რომელთან, ტო
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): ფეხხხხხხ...
თენგო: იასნია, რო ფეხებზე გკიდია
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): ფფეხბბბბბ...
თენგო: ვერ გავიგე, რა, ჩემი დედა...
ენგო (მაინც თავს აქნევს უარყოფის ნიშნად): ფფეხბუუუუუუ...
თენგო: ფეხბურთელებთან იყომარე?
ენგო (თავს აქნევს უარყოფის ნიშნად). რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ, ამ დროს, სცენაზე ღრიალით შემორბის მუშა და გამხეცებული ფარდას უშვებს.

**ბაჩუნა ძიდია**

**დღეს, 13, 15, 17 და 21 საათზე კინოთეატრ „მულტაზანზარში“ გაიმართება იტალიელი რეჟისორის ქრთამიანო ქრთამიანის ფილმის, „საქართველოს“ პრემიერა.**



# გიორგი ნემსაძე: ცოტა ნაკრებზე, ბევრი დანდიზე

*ყველა გუნდში მწვრთნელია მთავარი ფიგურა. შედეგზე პასუხს უპირველესად მას სთხოვენ, მაგრამ არანაკლები მოეთხოვება გუნდის კაპიტანს. ფეხბურთელთა აზრი მას მიაქვს მწვრთნელებამდე და თანაგუნდელებსაც კაპიტანმა უნდა ამცნოს ხელმძღვანელთა გულისნადები.*

*როგორი კაპიტანია გიორგი ნემსაძე? სხვისი არ ვიცი, მაგრამ მისი მისამართით აუგი ჩვენ არ გვეთქმის. უკონფლიქტო და პატიოსან კაცად ვიცნობთ და ეროვნული გუნდის წევრებთან თავისი სიტყვაც ეთქმის.*

*აბა, სხვა უკეთ ვინ მოახსენებს ქომაგს ნაკრებში არსებული ვითარების შესახებ, მაგრამ ნემსაძე ჯერ თავს იკავებს. გუშინ რედაქციაში ნასტუმრებმა პირველად ეს გვითხრა, ვისაუბროთ ყველაფერზე, ოღონდ გთხოვთ ნაკრებზე არაფერი მკითხოთო.*

*აქედან მოვუარეთ, იქედანაც, მაგრამ ორიოდ წინადადების გარდა ვერაფერი ვათქმევინეთ.*



**— იტალიასთან 35-ე წუთზე შეცვლილი ნემსაძე აღელვებული ტოვებდა მინდორს. არადა, იმ დროისთვის თამაში წაგივიდა. მატჩის შემდეგ მწვრთნელებმა გადაწყვეტილება რითი გაამართლეს?**

— მოდით, ასე გიპასუხებთ. ფეხბურთელის შეცვლა მწვრთნელთა კომპეტენციაა, მაგრამ გული საშინლად დამწყდა. ვაღიარებ, რომ თავიდან ცუდად დავიწყე, მაგრამ მერე გონს მოვეგე და ავთამაშდი. მე ხომ პატარა, დამწყები ბიჭი არ ვიყავი. ეკითხათ მაინც, მაწუხებდა თუ არა რამე. ყიფიანმა გადაწყვეტილება ასე ამიხსნა, გვეგონა, ფეხი გტკიოდა და ამიტომ დაგასვენეთო, მაგრამ იტალიასთან ფეხს არ შევუწუხებივარ. მინდა, ყველაფერი გაუგებრობას მივაწერო, სხვა რამის გაფიქრებაც არ მსურს.

**— ბუდაპეშტში ლიბეროდ მოგვევლინეთ და მეორე ტაიმში ისევ შეგცვალეს.**

— თამაშის წინ მითხრეს, ლიბეროდ გამწესებთო. მე ვუთხარი, რომ ამ პოზიციაზე წელიწადზე მეტია, არ მითამაშია-მეთქი. საბოლოოდ ასე გადაწყვიტეს და ასე მგონია, არც ერთ გოლში ცოდვა არ მიმიძღვის. რაც შეეხება ჩემს ცვლილებას, გული კი დამწყდა, თუმც 4:0-ზე რამეს აზრი ჰქონდა? ისე, დამასვენეთ-მეთქი მწვრთნელებისთვის არ მითხოვია.

**— ეროვნული გუნდის კაპიტანი ნაკრებში შექმნილ ზოგად ვითარებას როგორ შეაფასებს?**

— რაღა უნდა ვთქვა, ფაქტია, ეს შესარჩევი ციკლიც ჩავაგდეთ. მარცხის საბოლოო მიზეზებში ჯერაც ვერ გავრკვეულვარ. ან ფეხბურთელებმა ვერ გამოვიყენეთ ბოძებული შანსი, ანაც ჩვენი თაობა ასე უსახელოდ დაკარგეს.

**— უსახურობის მიზეზი ორივე ერთად ხომ არ არის?**

— ?!

**— კაპიტანი მეტს არაფერს იტყვის ნაკრებზე?**

— ამჯერად ეს ვიკმაროთ.

**— მაშინ შოტლანდიაში გადავინაცვლოთ. „დანდის" წლის საუკეთესო მოთამაშედ დაგასახელეს.**

— ეს ამბავი პირველად ზურაბ ხიზანიშვილმა ტელეფონით მახარა. მე ოჯახური პრობლემების გამო თბილისში ვიმყოფებოდი. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტები, გულშემატკივრები და „დანდის" სპონსორები. ძალიან გამიხარდა, პირველობა რომ მარგუნეს, მაგრამ გარწმუნებთ, მე ამისთვის არასდროს მითამაშია, უბრალოდ, ყველა მატჩი გამარჯვებაზე ფიქრით და ძალების სრული მობილიზებით ჩავატარე, სხვაგვარად არც მჩვევია. გულში რაღაც წარმატებას კი ველოდი, ვგრძნობდი, მაფასებდნენ, პატივს მცემდნენ და ეს მსიამოვნებს.

**— მსგავსი დამოკიდებულება საქართველოში, ქართველი ქომაგებისგან არ გენატრება.**

— ქართველი გულშემატკივრებისგან ჩემი წილი აღიარება მეც მრგებია. მერწმუნეთ, მათი ტაში უპირველესია ჩემთვის და მინდა იცოდნენ, რომ გიორგი ნემსაძეს თავი არასდროს დაუზოგავს, ფეხებს არასდროს მოფრთხილებია. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული, ქომაგი საკადრისად ვერ გავახარეთ. მერწმუნეთ, იგივეს განიცდის ნაკრების თითოეული წევრი.

**— კლუბში დაბრუნებული წლის საუკეთესო მოთამაშე როგორ მიგიღეს?**

— ხელმძღვანელობამ დაჯილდოების ცერემონიალი სასტუმრო „ჰილტონში" მოაწყო. დიდ დარბაზში შევიკრიბეთ. ყველა ნომინანტი იქ იყო, კანიჯა, გევინ რაე, არტერო, ცხადია მეც. პრიზები გადმომცეს, მომილოცეს.

**— გაგვაცანი მწვრთნელი ივანო ბონეტი...**

— თავის დროზე საკმაოდ ცნობილი და დაფასებული ფეხბურთელი იყო. „იუვენტუსი", „რომა", სერია A-ს საუკეთესო კლუბებში თავი არ შეურცხვენია. ტიპური იტალიელი მწვრთნელია, იქაური ფეხბურთის მიმდევარი. აქვს საკმაოდ ჩამოყალიბებული საფეხბურთო შეხედულება. დისციპლინის მოყვარულია და ყველას ერთნაირად დახარჯვას სთხოვს.

უშუალოდ თამაშისა და ვარჯიშის დროს ძალიან მკაცრია, მოედნის გარეთ გულღია და მეგობრული. ფეხბურთელის ნებისმიერ პრობლემას გაითავისებს. ხშირად ჩვენთან ერთად წამოსულა ქალაქგარეთ ან კაფეში. დანახარჯიც რამდენჯერმე საკუთარი ჯიბიდან აუნაზღაურებია. მისი დამსახურებაა, წლეულს „დანდის" გავარდნის საშიშროება რომ არ დამუქრებია.

**— როგორია „დანდის" სამომავლო გეგმები?**

— ხელმძღვანელობამ სამწლიანი გეგმა შეიმუშავა. წლეულს ექვსეულში მოხვედრას გვთხოვდნენ და შევასრულეთ. მომავალ სეზონში უეფას თასზე გამსვლელი ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ, მერე კი პრიზიორობაა გეგმაში.

**— „დინდიმ" ინტერტოტოზე უნდა ითამაშოს. კლაუდიო კანიჯა „რეინჯერსმა" წაიყვანა, თქვენ და ხიზანიშვილი თუ დაეხმარებით გუნდს?**

— არა. მე და ზურა ბონეტიმ გაგვათავისუფლა. ჩვენ 30 ივნისს შევუერთდებით „დანდის". კანიჯას შემცვლელად კი, როგორც ვიცი, არგენტინელივე თავდამსხმელი შეიძინეს. სამწუხაროდ, ჯერ გვარი არ ვიცი. კიდევ ერთი არგენტინელით დაცვაც გააძლიერეს.

**— ამას წინათ „დანდისთან" კონტრაქტიც გაახანგრძლივეთ საფეხბურთო კარიერის დამთავრებას შოტლანდიაში აპირებთ?**

— მე და ჩემი ოჯახი იქ თავს კარგად ვგრძნობთ. კლუბმა მშვენიერი სახლი მიქირავა. კარგი ადგილია, სიწყნარე, სიმწვანე და დიდებული მეზობლები. 29 წლის ვარ, ბავშვებიც კარგად შეეგუვნენ იქაურობას, ენა. უკვე გაიტეხეს და ინგლისურად ლაპარაკობენ. ჩემი სურვილიც იყო, დიდი ხნით სადმე დავფუძნებულიყავი. დამღალა ყოველ წელიწადს გუნდის ძიებაზე ფიქრმა.

თუმც არ არის გამორიცხული, თუ ძლიერი კლუბიდან შემოთავაზება მივიღე, შოტლანდია დავტოვო.

**— ეტყობა, გაგიჭირდებათ სხვაგან გადასვლა.**

— ასეა. შოტლანდიელები გულთბილი და ვაჟკაცური ხალხია. შევეჩვიეთ იქაურობას, თანაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ ჩემდამი კეთილგანწყობას და პატივსიცემას.

**— ზურაბ ხიზანიშვილი უკვე „დანდის" უცვლელი წევრია. ვიტჯორჯიელ ედიკ საჯაიაზე რა აზრისაა ივანო ბონეტი?**

— ჯერ ჩემს შთაბეჭდილებებს მოგახსენებთ. საჯაია შოტლანდიაში გავიცანი. ბუნებით კარგი ბიჭია, პროფესიონალიც ჩანს. საქმისადმი სერიოზული მიდგომით, თავისი კეთილსინდისიერებით „დანდიში" იმიჯი აიმაღლა. ბონეტიმ კი საფუძვლიანი დაკვირვების შემდეგ ეს განაცხადა: ის ჩინებული მასალაა და მასთან სწორი მუშაობის შემდეგ უმაღლესი დონის მცველი დადგება. სამწუხაროა, აქ რომ ვერ ვტოვებთ, მაგრამ არაუშავს, ცოტა ხანი იტალიაში ითამაშოს და ერთი სეზონის შემდეგ გამოწვრთნილი დაგვიბრუნდებაო. ედიკი, ალბათ, სერია B-ს რომელიმე გუნდში მოეწყობა, ბონეტის მისი ხელიდან გაშვება არც უნდა. რომ არა რიგითი პრობლემები, სამუშაოს უფლება, ეროვნულ გუნდში თამაშის 75 პროცენტი, საჯაია უკვე დანდელი იქნებოდა.

**გამუქა ქვანტალიანი**



სანამ დასცალდა, გიორგი ნემსაძე იტალიელთა კაპიტან პაოლო მალდინისაც აწუხებდა



გოგი ...ის

## სვეტი

# დასამტკიცებელი

ათი წელიწადია საქართველოს ნაკრები გამოდის საერთაშორისო შეჯიბრებებზე და არ ცდილობს რაიმეს დამტკიცებას. ამ ათ წელიწადში საქართველოს მთავარ გუნდს არც კი უცდია რაიმეს დამტკიცება. მან, უბრალოდ აჩვენა საფეხბურთო მსოფლიოს, რომ შეუძლია უელსელთა განადგურება უელსის დროით დილის ცხრა საათზე, ბულგარელთა დამარცხება მაშინ, როცა ბულგარელებს ცხრილში ველარ დაეწევი და იტალიელებთან ოთხი შეხვედრიდან ერთში ნულოვანი ფრეს გახერხება, რამაც იტალიელებს საქმე გაუფუჭა.

ათ წელიწადში, სწორედ ეს სამი თამაში უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ნაკრების ღვაწლად. საზოგადოდ კი, ამ სამი თამაშით საქართველომ ვერაფერი დაამტკიცა. კერძოდ ის, რომ საფეხბურთო ქვეყანაა. იაპონია, კორეა და ინდონეზია სულაც არ იყვნენ საფეხბურთო ქვეყნები, მაგრამ თითო-ოროლა განთქმული ფეხბურთელი კი ჰყავდათ ევროპის ლიგებში. ვთქვათ, ოკუდერა, ჩა, ლალინგი, ტაჰამატა და ა.შ. სურინამელი ბიჭები ჰოლანდიელები ხდებიან და ვარსკვლავები გახლავან, მაგრამ, სურინამი ჩურჩულითაც ვერაფერს ამბობს ფეხბურთში.

სანამ საქართველო საბჭოთა კავშირში იყო, საფეხბურთო ცხოვრება არსებობდა, იმიტომ რომ საბჭოთა კავშირი საფეხბურთო ქვეყანა იყო. საქართველოს იმდენი დიდი ფეხბურთელი ჰყოლია, რომ ბარე ორ საფეხბურთო ქვეყანას შეშურდება, მაგრამ დიდ ქართველ ფეხბურთელებს ორადორჯერ ეცვათ ეროვნული ნაკრების სამოსი, ერთხელ ბასკებთან თამაშისას და ერთხელაც მურთაზ ხურცილავას გამოსათხოვარ შეხვედრაში. ამ ორ თამაშს ლამის ორმოცი წელიწადი აშორებს. ახლა კი, საქმე ისეა, რომ საქართველოს ხელახლა შეექნა დასამტკიცებელი, რომ ჰქონდა ფეხბურთი, ჰყავდა ვარსკვლავები და ფეხბურთი მხოლოდ იმიტომ არ ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირში იყო. ჩვენ ვიცით, რომ ეს ყველაფერი იყო, ნამდვილად იყო, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება ახალ ცხოვრებაში.

და ამ ათ წელიწადში საქართველომ ვერაფრით დაამტკიცა, რომ ფეხბურთის მხარეა. უკრაინამ დაამტკიცა, ხორვატიამ დაამტკიცა, რუსეთმა დაამტკიცა. საქართველოს ნაკრებმა ვერაფერი დაამტკიცა.

ამ ათ წელიწადში ნაკრების ბირთვი უცვლელია. ეს არის, რომ გუნდს ემატებიან ახალი, უკეთესი და უკეთესი ფეხბურთელები, ხერხდება დიდი ტრანსფერები, საქართველოს ნაკრები კი ვერაფერს ამტკიცებს.

ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი ყველაზე ნაკლებად ჰგავს სპორტს. ფეხბურთი თანდათან, თვალსადახელს შუა გადაიქცა ერთ დიდ უცნაურობად, რომელიც ყველაფერია ფეხბურთის გარდა.

ფეხბურთს ფარერის კუნძულებზეც ვერ თამაშობენ ისე, როგორც ამსტერდამსა და ბარსელონაში, მაგრამ თამაშობენ: შეიკრიბებიან დალაქები, მეთევზეები, მეცხვარეები და უბერავენ. თუ აქეთ მივდივართ, უნდა ვიცოდეთ. თუმცა, ამასწინათ წავიკითხე, ფარერელებსაც უთქვამთ, ჩვენც გვაქვს დასამტკიცებელიო.

შენ მიდი და ამტკიცე–



თბილისის „დინამოს“ თავკაცობა სელექციაზე დაფიქრებულა: გოჩა ტყებუჩავა, ნიკა ჩხეიძე და რევაზ არველაძე

# გასადავებული კომბინაცია

## შინაურები უცხო სამოსში

**არდადეგები** აქვთ ქართულ გუნდებს, თუმც მომავალი სეზონისთვის უკვე გეგმებს აწყობენ. ეს, პირველ ყოვლისა, ევროტურნირებზე მოასპარეზე კლუბებს ეხებათ — ისინი ხომ სეზონს სხვებზე ადრე დაიწყებენ.

მეთორმეტე ეროვნულში მესამე ადგილზე გასულ თბილისის „დინამოს“ უეფას თასის საგზური ერგო. წილისყრა 22 ივნისს ჩატარდება, ხოლო საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 9 და 23 აგვისტოს შედგება.

დინამოელები 15 ივნისს შეიკრიბებიან დიღმის ბაზაზე და პირველ ვარჯიშსაც გამართავენ. ათგზის ჩემპიონს უცხოური შეკრების მოწყობაც განუზრახავს. „დინამო“ ალბათ გერმანიაში გაემგზავრება, „ლევერკუზენის“ ბაზაზე, პატარა ქალაქ ბიტბურგში, რომელიც ზედ გერმანია-ლუქსემბურგის საზღვარზეა. უცხოეთში წასვლამდე გუნდი სასელექციო სამუშაოებს გააჩაღებს, ჯერჯერობით ძირითადად ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებისთვის დაუდგამს თვალი „დინამოს“ — კლუბის ბიუჯეტი ამ ეტაპზე მეტის საშუალებას არ იძლევა.

კვლავ გაურკვეველია მთავარი მწვრთნელის საკითხი. შესაძლოა „დინამოს“ ისევ გოჩა ტყებუჩავამ უთავკაცოს — ის სამწვრთნელო პრაქტიკას ახლახან, გასულ სეზონში ეზიარა და დებიუტანტის კვალობაზე არცთუ ურიგო შედეგს მიაღწია. თუმც იმის შანსიც არსებობს, რომ უცხოელი სპეციალისტი მოიწვიონ. ისე კი, ფეხბურთელების სურვილი ტყებუჩავასთან მუშაობის გაგრძელებაა.

ასეა თუ ისე, 27 ივნისისთვის თბილისის „დინამო“ 24 ფეხბურთელს შეარჩევს, რომლებსაც უცხოურ შეკრებაზე წაიყვანს.

კლუბმა უკვე შეიძინა ახალი სამოსი. დინამოელებს „ადიდასი“ გამოაწყობს. გუნდს ორი ფორმა ექნება — ლურჯი და თეთრი. ორივე ვარიანტი არაკომბინირებულია, ანუ სამოსი ერთი ფერის იქნება.

და კიდევ. სულ მალე თბილისის „დინამოს“ საკუთარი ვებ-გვერდი ექნება ინტერნეტში. კლუბის პარტნიორი ამ საქმეში ფირმა „სანეტია“.

**დავით თაგართქილაძე**

# ქისა სიქველისა

## ზაზა ჯანაშიამ ინგლისელებს ავლაბარში უმასპინძლა

**ინგლისში** არსებობს საქველმოქმედო ორგანიზაცია „სამარიტელების ქისა“. იგი აერთიანებს ვეტერან ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, მსაჯებს. „სამარიტელების ქისა“ თავის დროზე ლივერპულში შეიქმნა და მასში „ლივერპულის“ ყოფილი ფეხბურთელებიც ირიცხებიან. „სამარიტელები“ დღეს თბილისში არიან საქველმოქმედო მიზნით. მათ მასპინძლობას საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მოწყალება“ უწევს.

ინგლისელები ჯერ თელავში ჩავიდნენ. იქაურ ნორჩ ფეხბურთელებს თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობა ჩაუტარეს და საჩუქრად ბურთები და საფეხბურთო ამუნიცია გადასცეს, მოგვიანებით კი თელაველ ვეტერან ფეხბურთელებთან ამხანაგური მატჩი გამართეს.

სტუმრები იმავე პროგრამით ეწვივნენ მცხეთას, რუსთავს და ბორჯომს, გუშინ კი ჟურნალისტებთან მოისურვეს გაჯიბრება და 4:2-იც მოგვიგეს.

ჩვენში ახლა მოდაშია თავის მართლება და ტრადიციას ხომ არ ვუღალატებ. ინგლისელებს ძირითადი შემადგენლობით ვერ დავუხვდით. გვილალატა ფიზიკურმა მომზადებამ, არ გვივარგოდა ტაქტიკა და საერთოდ არ გვყავდა მწვრთნელი. როგორც ყოველთვის, თანაგუნდელები ვერ იხსნა მეკარემ, თქვენმა მონა-მორჩილმა 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი გაუშვა. ქომაგებიც არ გვყავდა, იმიტომ რომ ავლაბარში სტადიონზე მოსულ ნორჩ ფეხბურთელებს ჩვენ საქართველოს ნაკრები ვეგონეთ.

„ნახე, ზაზა ჯანაშია ჩამოსულა, დასუსტებულა“, მესმის ზურგსუკან. ბავშვებმა „რუსთავი 2“-ის დიმიტრი ობოლაძე ჯანაშიას მიამგვანეს.

„ვა, ნემსაძეც თამაშობს“, პირველარხელი ლაშა დვალიშვილი გიორგიდ მონათლეს.

„ზოიძემ ისევ ოთხი გოლი გაუშვა“, იძახიან ჩემზე. რა უნდა ვქნა, არ ტყუიან.

გუშინ ჩვენ მართლაც გაჭრილი ვაშლივით ვგავდით ჩვენს ეროვნულ გუნდს.

და ახლა უკეთ ვიცით რატომ აგებს ჩვენი ნაკრები ასე უმოწყალოდ. ისიც ვიცით, რა ემართება პრაქტიკანაკლულ მეკარეს და რატომ უჭირს დაცვას მეტოქის შეტევათა მოგერიება. იმიტომ, რომ არ არსებობს მებრძოლი ნახევარდაცვა.

ხალისიანი ხალხი იყო, აქაურებისადმი კეთილგანწყობილი. ჩამოვიდნენ, რალაცით შეგვეწივნენ. მერე წავლენ და გარკვეულ შთაბეჭდილებებს წაიღებენ. ამხანაგური მატჩი იყო, შეგვეძლო ფრედ გვეთამაშა, მაგრამ არც ჩვენ ვიკადრეთ და მით უმეტეს, არც ისინი გაივლებდნენ გულში. ითამაშეს, იბრძოლეს, ფეხებშიც გვირტყეს და გამარჯვებაც ღმერთმა შეარგოთ.

**მამუკა ძგანტალიანი**

# რკინიგზელები მიდი-მოდიან. რჩება ნოდია?



ამბობენ, გივი ნოდია ქუდს დაიხურავს და „ლოკომოტივიდან“ წავაო

**ჩემპიონობა** და თასის მოპოვება თბილსის „ლოკომოტივსაც“ ერთად ეწადა, მაგრამ მეთორმეტე ეროვნულში საქმეები ისე აეწყო, რომ არც ჩემპიონობა გამოუვიდა და საკუთარ სტადიონზე თასის ფინალიც პენალტებში წააგო დუბლის მომგებ „ტორპედოსთან“.

მხოლოდ ვიცე-ჩემპიონობას და ვერცხლს დაჯერებულმა რკინიგზელებმა გული უეფას საგზურით გაიგრილეს და შვებულებაში გასწიეს.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ღვაბერიძის თქმით, გუნდიდან არც ერთი ფეხბურთელი არ წასულა. სავარაუდოდ, ორი-სამი მოთამაშის შემატებაც სურთ. „ლოკომოტივი“ 10 ივნისს შეიკრიბება. გივი ნოდია კლუბის თავკაცებს სამომავლო გეგმას წარუდგენს და მზადებაც დაიწყებაო.

რა უფლება გვაქვს ღვაბერიძეს არ ვენდოთ, მაგრამ მოარული ხმები ამბობენ, გუნდიდან რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მიდის და დარჩენის პერსპექტივა არც მთავარ მწვრთნელ გივი ნოდიას ხიბლავსო.

**დათო დანელია**

საქართველოს პირველი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

**1 ტური**

# ათვლას ვიწყებთ დილიდან!

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტში პირველი ლიგის მონაწილეთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ძირითადი განსახილველი საკითხი იყო მომავალი სეზონის გათამაშების კალენდარი. ჩატარდა წილისყრა, რომელმაც გუნდები ასე დააწყვილა:

**პირველი ტური**

დილა გორი — ლაზიკა ზუგდიდი
ამირანი ოჩამჩირე — თსუ თბილისი
იბერია სამტრედია — შუქურა ქობულეთი
ცხინვალი — თორი ბორჯომი
ოკეანე სამტრედია — ლოკომოტივი 3 თბილისი
ხობი — მილანი წნორი



თორმეტგზის უმაღლესლიგელი გორის „დილა“ „სამგურალს“ შეენაცვლება

მართალია, კალენდარი უკვე ცნობილია, მაგრამ გამორიცხული არაა, ვიდრე ალმასკომი დაამტკიცებს, კიდევ შეიცვალოს.

საქმე ისაა, რომ გორის „დილა“ ეროვნული ჩემპიონატის საკუთარ ისტორიას ახალ ფურცელს შემატებს: გადათამაშებაში „სამგურალთან“ 0:2 დამარცხებული გორელები მომავალ სეზონს პირველ ლიგაში გაატარებენ.

საშინაო მატჩებს გორშივე ატარებს „ცხინვალიც“. მართალია, დევნილთა გუნდი უფრო „ქართლის“ სტადიონზე მასპინძლობს მეტოქეებს, მაგრამ ერთ ქალაქში ერთდროულად ორი მატჩი მაინც არაა სასურველი.

გაურკვეველია ერთიც, რა სახელით ითამაშებს „ლოკომოტივის“ ფარმ-კლუბი, რომელმაც რეგიონული ლიგის აღმოსავლეთ ზონაში გაიმარჯვა და პირველ ლიგაში აღზევდა. ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არც რკინიგზელთა ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ღვაბერიძეს აქვს. საქმეს ისიც ართულებს, რომ შარშან თასის მფლობელის შვილობილი ლანჩხუთის „გურია“ გახლდათ და „ლოკომოტივი 2“-ის სახელით სწორედ ის თამაშობდა.

პირველ ლიგაში ჩემპიონატი, სავარაუდოდ, 14 აგვისტოს დაიწყება.

**ქახა შალამბერიძე**

# Copa Toyota Libertadores '2001

**ლიბერტადორესის თასი 2001. 1/2 ფინალი. I მატჩები**

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:2 პალმეირასი (ბრაზილია)**

0:1 ალექსი (19), 1:1 ბაროს შელოტო (44პ), 1:2 ფაბიო ჟუნიორი (54), 2:2 ბარიხო (55)
ბოკა ხუნიორსი: ო. კორდობა, იბარა, ბერმუდესი, ბურდისო, მატელანი, სერნა, ტრავერსო, ვილარეალი (გაიტანი 75), რიკელმე, ბარიხო, გილერმო ბაროს შელოტო (გიმენეზი 46)
პალმეირასი: მარკოსი, არსე, ალეშანდრე, ლეონარდო, ფელიპე (ტადეუ 74), ფერნანდო, გალეანო, მაგრაო, ლოპესი (ბასილიო 60), ალექსი, ფაბიო ჟუნიორი
გაძევება: ბარიხო (85), ფერნანდო (85), კარლოს ბიანკი (85, „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელი)
55 000 მაყურებელი

**კრუს ასული (მექსიკა) 2:0 როსარიო სენტრალი (არგენტინა)**

1:0 კარდოზო (37), 2:0 პალენსია (76პ)
კრუს ასული: ო. პერესი, გუტიერესი, ანხელესი (ადომაიტისი 62), ალმაგერი, მ. ბრაუნი, გალდამესი (ტ. კანტოსი 46), ერნანდესი, პინეირო, მორალესი, პალენსია (ბელოზო 81), ხ. კარდოზო
როსარიო სენტრალი: ტომბოლინი, მარა, დ. დიასი, ლოეშბორი, ლეკა, ეროსი, ფაბიანესი, ვესპა, ე. გონსალესი (დე ბრუნო 63), კუბერასი (დ. პერესი 74), პიცი (მაკერატეზი 87)
გაძევება: დ. პერესი (90)
100 000 მაყურებელი


REUTERS მეხიკოდან

კრუს ასული — როსარიო სენტრალი. მასპინძელმა გონსალო ბელოზომ (მარჯვნივ) და სტუმარმა მატიას ლეკამ ერთმანეთი არ დაზოგეს

# უბალდო: მადლიანი და უმადლო

**თასის** მფლობელმა „ბოკა ხუნიორსმა“ სათუოდ გაიხადა კვლავაც ფინალში გასვლა, რაკი შინ „პალმეირასთან“ ოდენ ფრეს დასჯერდა. სხვათა შორის, შარშან ეს გუნდები ფინალში შეხვდნენ და არგენტინელებმა პენალტებით მოიგეს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ფრედ დასრულდა, რაც, როგორც ვთქვით, სტუმარს ანუ „პალმეირასს“ აძლევს ხელს, „ბოკასაც“ აქვს თავის მართლების საბაბი: მსაჯმა ფეხბურთელი გაგვიძევა, მწვრთნელიც მიგვიყოლა და მეტი რა უნდა გვექნაო. ეგებ ისიც დაამატონ, ბრაზილიელები ორჯერ დაწინაურდნენ და ორჯერვე გავქვითეთ ანგარიშიო. ჩვენ კი შევნიშნოთ, რომ ფეხბურთელი „პალმეირასსაც“ გაუგდეს და ორივე გაძევება ერთდროულად მოხდა — თამაშის ბოლოსკენ მასპინძელმა ანტონიო ბარიხომ და სტუმარმა ფერნანდომ ერთმანეთს მუშტები უთავაზეს და პარაგვაელმა არბიტრმა უბალდო აკინომ ისინი საქმის გასარჩევად მოედნის მიღმა გაუშვა. რაც შეეხება კარლოს ბიანკის, გვერდით ხაზს რომ ვერ მოაშორეს, წითელი ბარათის ძალით ტრიბუნაზე დასვეს.

ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, „ბოკას“ საწუწუნო არაფერი აქვს, რადგან პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე გილიერმო ბაროს შელოტოს გატანილი პენალტი, რომელიც ბრაზილიელთა საჯარიმოში ანტონიო ბარიხოს წაქცევისთვის დაინიშნა, სინამდვილეში პენალტი არც ყოფილა — ტელეკამერამ აჩვენა, რომ ბარიხო ისე წაიქცა, ალეშანდრე არ შეხებია, მაგრამ არბიტრს თამაშის დროს ამას ვინ ეტყოდა.

კიდევ რამდენიმე მომენტი იყო, როცა პალმეირასელები თავიანთ სასარგებლოდ ითხოვდნენ თერთმეტმეტრიანს, მაგრამ უბალდოს სასტვენი დუმდა. ეგებ სტუმართა მოთხოვნა რამდენჯერმე უსაფუძვლოც იყო, მაგრამ ფერნანდო ოსკარ კორდობას პირისპირ რომ გავიდა, „ბოკას“ მეკარემ ბრაზილიელი აშკარად წააქცია.

მთლიანობაში კი შეიძლება ითქვას, რომ მსაჯის შეცდომებმა თამაში წაახდინა და ამ გუნდებს რომ შეუძლიათ, ბუენოს აირესის განთქმულ „ბომბონერაზე“ შეკრებილმა ხალხმა ისეთი შოუ ვერ იხილა.

მექსიკური „კრუს ასულის“ ქომაგებმა კი სავსებით კმაყოფილებმა დატოვეს სტადიონი — მათმა გუნდმა არგენტინული „როსარიო სენტრალი“ დასცა და ფინალში გასვლის დიდებული შანსი გაუჩნდა. აღვნიშნოთ, რომ ლიბერტადორესის თასის ფინალში აქამდე მექსიკელთაგან არავის გაუღწევია.

„კრუს ასულის“ გამარჯვება გასაკვირი სულაც არაა. ამ გუნდმა ტურნირში მექვსე საშინაო მატჩი გამართა და ქომაგები გაწბილებული ერთხელაც არ გაუშვა. არადა, მეხიკოს „აცტეკაზე“ მის თამაშს ასი ათას კაცზე ნაკლები არ ესწრება.

გოლები ხოსე კარდოსომ და ხუან ფრანსისკო პალენსიამ გაიტანეს, მათგან მეორე პენალტით. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ თავდამსხმელთა ეს წყვილი საუკეთესოა ტურნირში — ერთად უკვე ცხრა გოლი მიითვალეს.

„კრუს ასულის“ მიღწევას ვერც ის ფაქტი ჩრდილავს, რომ კაცნაკლულ სტუმრებს ეთამაშებოდნენ. ერთი იმიტომ, რომ დავიდ პერესი ბოლო წუთზე გააძევეს და მეორეც, არგენტინელი მცველის უხეშობა მექსიკელთა იერიშს მოჰყვა და პერესს რომ არ ეუხეშა, „კრუს ასულს“ ეგებ მესამეც შეეგდო.


REUTERS ბუენოს აირესიდან

ბოკა ხუნიორსი — პალმეირასი. ბრაზილიელი ბასილიო ვერც ბურთს და ვერც არგენტინელ იბარას (№4) მისწვდა

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის ქრონიკა



**იტალიელი** თავდამსხმელის ფილიპო ინძაგის აგენტმა ტულიო ტინტიმ გუშინ სააგენტო ANSA-სთან ინტერვიუში დაადასტურა, რომ მისი კლიენტი ფილიპო ინძაგი ახალ საფეხბურთო სეზონს „მილანის“ რიგებში შეხვდება. რაც შეეხება მეკარე კრისტიან აბიატის, ოფიციალურად გადაწყდა, რომ გოლკიპერი „მილანში“ დარჩება. „მე ვრჩები, მიუხედავად ადრე არსებული უთანხმოებისა. „მილანი“ ჩემი გუნდია და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ძირითადის ადგილი დავიბრუნო. გადაწყვეტილება სილვიო ბერლუსკონიმ და ადრიანო გალიანიმაც მომიწონეს“ — განაცხადა მეკარემ, რომელსაც „მილანის“ კარში ადგილი ვეტერანმა სებასტიანო როსიმ წაართვა.

**ნორვეგიელმა** თავდამსხმელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა და ახლა უკვე კვირაში 35 ათას გირვანქამდე გადაუხდიან. სოლსკიაერი 2006 წლამდე უნდა დარჩეს „ოლდ ტრეფორდზე“ და თუ ასე მოხდა, მას ზუსტად ათწლიანი მანჩესტერული კარიერა გამოუვა. „იუნაიტედში“ ჩინებული კარიერა მაქვს და ვერც კი წარმოვიდგენ, სხვა კლუბის მაისურა მეცვას. დიდი სურვილი მაქვს, სერ ალექსის გუნდთან ერთად კვლავ მოვიგო პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა“ — განაცხადა ნორვეგიელმა, რომლის შეძენის სურვილიც ამას წინათ „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ გამოთქვა.

**იტალიური** „ბრეშას“ მწვრთნელმა კარლო მაცონემ კონტრაქტი 2003 წლამდე გააგრძელა. კლუბის ხელმძღვანელობა ახალი სეზონიდან გუნდის მნიშვნელოვნად გაძლიერებას აპირებს და გამოცდილი სპეციალისტი დაიყოლია, მათთან უფრო მეტი ხნით დარჩენილიყო. მაცონეს შეთანხმება მალე უსრულდებოდა, გუნდის ლიდერმა რობერტო ბაჯომ კი ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ამ მწვრთნელთან ერთად სურს მუშაობა და თუ მაცონე წავიდოდა, „ბრეშაში“ არც თავად გაჩერდებოდა. რახან მაცონე დარჩა, „ბრეშას“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში ბაჯოსთანაც გააფორმებს ახალ კონტრაქტს.

**ესპანელმა** თავდამსხმელმა ხოსე მარიმ შესაძლოა „მილანი“ დატოვოს და „სევილიაში“ გადავიდეს, კლუბში, სადაც მან კარიერა დაიწყო. ფეხბურთელი იტალიური გრანდის ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდებოდა და ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ „სან სიროდან“ წასვლა სურდა. შეგახსენებთ, რომ ესპანელი „მილანში“ შარშან მადრიდის „ატლეტიკოდან“ გადავიდა, ახლა კი არ არის გამორიცხული, რომ იგი ესპანეთში დროებით გაანათხოვრონ, ეს ყოველივე ფეხბურთელმაც დაამოწმა და წინააღმდეგი არაა, სამშობლოში დაბრუნდეს. „სევილია“ მზადაა, სეზონის დასრულებისთანავე გადაიბიროს ხოსე მარი, კონტრაქტი გაუფორმოს და წლიურ ხელფასად მილიონი დოლარი დაუნიშნოს. „მილანის“ დანიელმა მცველმა თომას ჰელვეგმა კი თქვა, რომ კლუბის დატოვებას არ აპირებს და „სან სიროზე“ სულ მცირე, კონტრაქტის დასრულებამდე ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „მილანმა“ იგი 1998 წელს „უდინეზედან“ ოლივერ ბირჰოფთან ერთად შეიძინა.

**გერმანიის** ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ჟურნალ „კიკერს“ განუცხადა, რომ არ გამორიცხავს, ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ჯოვანი ელბერმა კლუბი დატოვოს. კაიზერ ფრანცის გადაწყვეტილება მეტად უცნაური იყო, რადგან მიუნხენური კლუბი აქამდე ფორვარდების და მათ შორის ყველაზე მეტად ელბერის გაყიდვას არ აპირებდა. თუ რომელიმე კლუბი ელბერის წაყვანას მოისურვებს, სანაცვლოდ 22 მილიონი გირვანქა უნდა გაიღოს, ხოლო კარსტენ იანკერი და პაულო სერჟიო „ბაიერნმა“ 13-13 მილიონად შეაფასა.

**ინგლისური** „ჩელსი“ გლაზგოელებს ჰოლანდიელი ნახევარმცველის ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის სანაცვლოდ ექვს მილიონ ფუნტს სთავაზობს. ფეხბურთელს „ჩელსის“ წინადადება ხიბლავს, მაგრამ „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობა რატომღაც ფეხს ითრევს. ლონდონელთა მწვრთნელი კლაუდიო რანიერი კი ძალიან დაინტერესებულია ჰოლანდიელის გადაბირებით. შესაძლოა, ინგლისელებისა და სქოთების მოლაპარაკება ჩაიშალოს კიდეც. თუმცა თვით ვან ბრონკჰორსტს ეს დიდად არ დაამწუხრებს. იგი „რეინჯერსშიც“ მშვენივრად გრძნობს თავს.

**ესპანურმა** „ბარსელონამ“ და ლუის ენრიკემ ურთიერთობა საბოლოოდ გაარკვიეს. ახალი კონტრაქტის მიხედვით ლუის ენრიკე „ბარსაში“ კიდევ ორი წლით დარჩება. კლუბსა და ფეხბურთელს შორის უთანხმოებას ხელშეკრულების ხანგრძლივობა იწვევდა. ლუის ენრიკეს სამი წლით სურდა კლუბში დარჩენა, ხოლო „ბარსელონა“ მას მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობდა. საბოლოოდ მხარეები ორი წლით დაუავშირდნენ ერთმანეთს.

**არგენტინული** „რივერ პლეიტის“ მწვრთნელი ამერიკო გალიეგო გუნდის წარუმატებელი შედეგების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კლუბის ხელმძღვანელობამ თავკაცს არ აცალა, რომ „რივერმა“ წლეულს ვერც არგენტინის ჩემპიონატში და ვერც ლიბერტადორესის თასზე ვერ გამოიჩინა თავი. ამ უქმეებზე არგენტინის ჩემპიონატში ბოლო ტურია, „რივერი“ „ლანუსს“ ხვდება. შეხვედრაში ბუენოსაირესელებს ბრაზილიელი დელემი უხელმძღვანელებსო. კლუბის მესვეურებმა კი ორი ყველაზე შესაძლო კანდიდატი დაასახელეს, რომელთა მიწვევასაც ახალი სეზონიდან აპირებენ — რამონ დიასი და არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი დანიელ პასარელა, რომელიც ცოტა ხნის წინ ურუგვაის ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტიდან გადადგა.

**იტალიის** ნაკრებისა და „მილანის“ ნახევარმცველმა ფრანჩესკო კოკომ „როსო-ნერისთან“ კონტრაქტი გუშინ 2004 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა. იგივეს გაკეთებას აპირებს ჯენარო გატუზოც, ოღონდ ორი კვირის შემდეგ, როდესაც სერია A-ში ჩემპიონატი დასრულდება. ამასობაში „მილანი“ იუგოსლავიის 21-წლამდელთა ნაკრების პლეიმეიკერ ბრანკო ბოშკოვიჩით დაინტერესდა. ყმაწვილი ბოშკოვიჩი ახლა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ თამაშობს და ერთობ პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება. მას რეკომენდაცია „მილანის“ ყოფილმა ვარსკვლავმა დეიან სავიჩევიჩმა გაუწია, რომელიც ახლა იუგოსლავიის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი თავკაცია.

**ხორვატ** მწვრთნელ ივიცა ოსიმს გულით სწადია სპლიტის „ჰაიდუკში“ მუშაობა. „ჰაიდუკი“ დღეს უმწვრთნელოდაა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, გუნდისა და მთავარი მწვრთნელის ზორან ვულიჩის გზები გაიყარა. ივიცა ოსიმი ავსტრიულ „შტურმს“ თავკაცობდა. მისი დამოძღვრილი გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზეც კი გავიდა. ახლა ოსიმი ისვენებს და აღნიშნავს, რომ კარიერის დასაწყისში, როგორც ყველა დამწყები ხორვატი მწვრთნელი, რომელიმე ძლიერი ხორვატული კლუბის გაწვრთნაზე ოცნებობდა. „ჰაიდუკი“ სწორედ ამგვარი გუნდია და ოსიმიც სიამოვნებით წარუძღვება ჰაიდუკელებს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მწვრთნელს კლუბისგან ოფიციალური შეთავაზება არ მიუღია.

| XXXIII ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| მილანი | — | ბრეშა |
| ლაციო | — | ფიორენტინა |
| ბარი | — | ინტერი |
| ვიჩენცა | — | იუვენტუსი |
| ბოლონია | — | ლეჩე |
| პერუჯა | — | რეჯინა |
| ნაპოლი | — | რომა |
| ატალანტა | — | უდინეზე |
| პარმა | — | ვერონა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 32 | 21 | 8 | 3 | 63:30 | 71 |
| იუვენტუსი | 32 | 19 | 10 | 3 | 56:26 | 67 |
| ლაციო | 32 | 20 | 6 | 6 | 61:34 | 66 |
| პარმა | 32 | 16 | 8 | 8 | 49:26 | 56 |
| მილანი | 32 | 12 | 12 | 8 | 54:43 | 48 |
| ინტერი | 32 | 12 | 9 | 11 | 43:45 | 45 |
| ატალანტა | 32 | 10 | 14 | 8 | 37:31 | 44 |
| ფიორენტინა | 32 | 10 | 13 | 9 | 52:47 | 43 |
| ბოლონია | 32 | 11 | 9 | 12 | 46:49 | 42 |
| პერუჯა | 32 | 10 | 11 | 11 | 47:50 | 41 |
| ბრეშა | 32 | 9 | 13 | 10 | 40:40 | 40 |
| უდინეზე | 32 | 10 | 5 | 17 | 46:56 | 35 |
| ვიჩენცა | 32 | 8 | 9 | 15 | 34:46 | 33 |
| ლეჩე | 32 | 7 | 12 | 13 | 36:51 | 33 |
| რეჯინა | 32 | 9 | 6 | 17 | 29:47 | 33 |
| ნაპოლი | 32 | 7 | 11 | 14 | 31:48 | 32 |
| ვერონა | 32 | 8 | 7 | 17 | 36:57 | 31 |
| ბარი | 32 | 5 | 5 | 22 | 29:63 | 20 |

**იტალია** — პაპუნა კიდია

# SPQR



# ROMA CAPUT MUNDI



ფრანჩესკო ტოტი და ვინჩენცო მონტელა საჩემპიონოდ ემზადებიან

**რომში** იცით რა ხდება? აივნებზე წითელ-ოქროსფერი დროშები ფრიალებს, ქალაქის ყველა მოედანზე დგას კინოეკრანის ზომის ტელევიზორები, პოლიციელები კი საგანგებო ღონისძიებებს გეგმავენ — „რომა" ჩემპიონობისთვის ემზადება.

თუ ფაბიო კაპელო და მისი ხელქვეითები ნეაპოლში გაიმარჯვებენ, დედაქალაქში ისეთი ამბავი ატყდება, ძველი რომაელების მერე რომ აღარ უნახავთ უხსოვარ დროში აგებულ შენობებს.

ცნობისთვის: ამ სეზონში ყველაზე მეტი აბონემენტის გაყიდვა „რომამ" შეძლო. 46 ათასი, ასეთი იყო კლუბის მაჩვენებელი და, გარდა ამისა, ყოველ ტურში, შინ ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა, ხოლო სტუმრად, ყველაზე მეტი თანმხლები.

დიახ, ხვალ „რომა" ნეაპოლში თამაშობს და გამარჯვების შემთხვევაში „სკუდეტოს" იგებს. ამ თამაშზე დასწრება 25 ათას რომაელს სურდა, მაგრამ ნეაპოლელებმა, ალბათ, შესაძლო ხიფათის თავიდან აცილებისთვის, წითელ ქომაგებს მხოლოდ 4200 ადგილი გამოუყვეს.

დანარჩენები კი რომში მეტწილად სან ჯოვანის მოედანზე მოიყრიან თავს და თამაშის შემდეგ — ისევ და ისევ თუ „რომა" მოიგებს — იქვე ჩირკო მასიმოს შეესევიან, სადაც მათ ბოლოს 1983 წელს იზეიმეს. დღეს, იმ ზეიმიდან 18 წლის შემდეგ, მოლოდინს საზღვარი არ აქვს.

„სკუდეტო — ასე ჰქვია ჩემს ოცნებას მას მერე, რაც პატარა ბიჭი ვიყავი და ტრიბუნიდან ვყვიროდი. ახლა გუნდის კაპიტანი გახლავართ და ისტორიის სიმძიმეს საკუთარ მხრებზე ვგრძნობ" — ამბობს ფრანჩესკო ტოტი.

„რაც ძალი და ღონე გვაქვს, გამარჯვებას შევეცდებით. ჩემპიონები ნეაპოლში უნდა გავხდეთ. ამ მატჩისთვის ისე მოვემზადეთ, თითქოს ის ცხოვრებაში ბოლო იყოს" — დასძენს ვინჩენცო მონტელა, ბოლო ტურებში რომაელთა ყველა გადამწყვეტი გოლის ავტორი.

კაცმა რომ თქვას, გუნდისთვის, რომელსაც ამდენი მხარდამჭერი ჰყავს, მუზეუმში ძალიან ცოტა ჯილდო უდევს. არადა, 1927 წლის ანუ დაფუძნების შემდეგ გვარიანი დროა გასული. „სკუდეტოს", მაგალითად, წითელი რომაელები მხოლოდ ორჯერ ფლობდნენ — პირველად 1942 წელს მოიპოვეს, რის გამოც დიდ შარში იყვნენ გახვეულნი. აბა, ჰკითხეთ სხვა გუნდების, განსაკუთრებით კი „ლაციოს" ფანებს. ისინი მყის გიპასუხებენ, რომ 1942 წელს ევროპაში ომი მძვინვარებდა და მაშინდელი ტიტული სათვალავში არ უნდა იყოს. აბა, ომის დროს ვის ეფეხბურთება.

შემდეგ, 1961 წელს, „რომამ" ბაზრობათა თასი მოიგო, მაგრამ აი, სერია A-ს მწვერვალზე მეორედ მოხვედრა 1983 წელსღა მოახერხა. მაშინდელ „რომაში" თამაშობდნენ დღევანდელი კონკურენტის, „იუვენტუსის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი, ბრაზილიელი ვარსკვლავი ფალკაო და იტალიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ბრუნო კონტი.

იტალიის თასი — კი ბატონო, „რომას" ეს სიკეთე არ აკლია, მაგრამ 1991 წლის შემდეგ ისიც აღარ მოუგია.

და მაინც, ყველაფრის, განსაკუთრებით კი „ლაციოს" შარშანდელი ჩემპიონობის მიუხედავად, „რომას" ქომაგებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ დედაქალაქის ჭეშმარიტი საფეხბურთო სულის მატარებელნი სწორედ ისინი არიან. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათი კლუბის ფერები, რომის დიდი იმპერიის ფერებია, მათი კლუბის ემბლემა მგელია, მგელი კი ლეგენდის თანახმად, ქალაქის დამაარსებლის რომულუსის და მისი ძმის რომუსის აღმზრდელია.

კი მაგრამ, „ლაციოც" ხომ რომისაა? — იკითხავს გულუბრყვილო, რაზეც ასეთ პასუხს მიიღებს: „ლაციოს" ქომაგები გარეუბნელები და დედაქალაქის ახლო-მახლო სოფლების მაცხოვრებელნი არიან. მოკლედ და კონკრეტულად კი, ასეა: „რომას" მაღალი რასა გულშემატკივრობს!

იცით ასეთი ხუმრობა?

კითხვა: „როდის ილვიძებენ დერბის დღეებში „ლაციოს" ფანები?"

პასუხი: „ძალიან ადრე, რადგან შორ გზაზე გასამგზავრებლად ემზადებიან და ვირებს თივა უნდა აჭამონ".

„რომას" თამაშებზე, „სტადიო ოლიმპიკოს" ტრიბუნაზე აუცილებლად შეამჩნევთ პლაკატს: ROMA CAPUT MUNDI ანუ „რომა" დაიპყრობს მსოფლიოს. ეს ძველი რომის დროინდელი ლოზუნგი გახლავთ.

და კიდევ: თქვენ ჩვენი მონები ხართ!

ყველა პლაკატს კი სტანდარტული ბეჭედი აზის — SPQR. სწორედ ეს იყო რომის იმპერიის ბეჭედი.

ახლა, ყოველივე ამის შეტყობის შემდეგ, გაგიჩნდებოდათ კითხვა: მერედა კვირას ამ ქალაქში ყველაფერი მშვიდად ჩაივლის? ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „ლაციოს" კარგა მორასისტო ქომაგები ჰყავს.

ალბათ, არ ჩაივლის მშვიდად. აკი წერილის დასაწყისში გითხარით, რომ პოლიცია საგანგებოდ ემზადება. რომის მერი, ვალტერ ველტრონი კი ასე ბრძანებს:

„მე ხალხს ბანაკებად არ ვყოფ. ჩემთვის ისინი მოქალაქენი არიან. „რომას" ქომაგი და „ლაციოს" ქომაგი, ორივე რომაელია".

და ერთ რამეს დანამდვილებით გეტყვით: ბატონი მერი გულის სიღრმეში იმედოვნებს, რომ კვირას „რომაც" წააგებს და „ლაციოც".

რატომ? იმიტომ, რომ ის „იუვენტუსის" გულშემატკივარია.

## ორიოდ სიტყვა „იუვენტუსზე"

„იუვენტუსს" წაბორძიკების უფლება არ აქვს, დანარჩენი კი ბედის ხელშია. ტურინელთა ლიდერს, ფრანგ ზინედინ ზიდანს ჯერ კიდევ არ გადაუწურავს იმედი, რომ „ბებერი ქალბატონი" ჩემპიონი გახდება.

გახსოვთ? ერთი წლის წინ „იუვენტუსმა" „სკუდეტო" ბოლო ტურში დაკარგა. რატომ არ შეიძლება, ახლა ისტორია პირიქით განმეორდეს?

„კვირას ჩვენ ერთი რამ გვიწყდა, „ვიჩენცასთან" დამარცხება, რაც ფრიად ძნელი [illegible] დიდი ბრძოლა გადაგვხდება თავს, მაგრამ გამარჯვება სულაც არ გახლავთ წარმოუდგენელი" — ამბობს ზიდანი.

მაგრამ — გავიმეოროთ, რაც ზემოთ ვთქვით — თუ ნეაპოლში „რომა" მოიგებს, „იუვენტუსი" ჩემპიონი ველარ გახდება.

სამაგიეროდ, მოიპოვებს მეორე ადგილს, რაც, ბოლოს და ბოლოს, არც ისეთი კატასტროფაა. მეორე ადგილზე გასვლა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში თამაშის გარანტიას იძლევა.

## ჰიდეტოშის არჩევანი

ზიდანი განაგრძობს: „ჰიდეტოში ნაკატა რომაელთათვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ვიცი, რომ მისი გულისთვის იაპონიის ნაკრები და „რომა" დავობდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც-რაღაცეებს უკეთესად დაბალანსება სჭირდება".

ახლა, გეტყვით რა ხდება: იაპონიაში კონფედერაციათა თასი მიმდინარეობს და მასპინძელთა ნაკრები ფინალშია. ფინალი კი კვირასაა ანუ იმავე დღეს, როდესაც იტალიაში შესაძლოა „სკუდეტოს" ბედი გადაწყდეს.

და ნაკატამ რომში დაბრუნება არჩია.

„ის დღეს იტალიაში გაფრინდება. გუნდის სასტუმროში ამაზე ვილაპარაკეთ და ყველაფერი გადაწყდა" — განაცხადა იაპონელთა პრეს ატაშემ ჰიდეკი კატომ.

არადა, ნაკრების ფრანგი მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე აცხადებდა, რომ მის მხარეს „ფიფას კანონებია" და მათ მიხედვით ნაკატა ვალდებულია, კონფედერაციათა თასის ბოლომდე ნაკრებთან დარჩეს.

რამდენიმე დღის წინ იაპონურ პრესაში გავრცელდა ცნობა, რომ ნაკატამ ტრუსიეს განთავისუფლება თხოვა და მწვრთნელი დაყაბულდა, მაგრამ ტრუსიემ ამას ტყუილი უწოდა. შემდეგ კი ინტერნეტში, ნაკატას ვებ-გვერდში გაჩნდა ცნობა, რომ კონფედერაციათა თასის ნახევარფინალში იაპონია მოიგებს თუ წააგებს, ის მაინც აეროპორტისკენ გაეშურება და გეზს იტალიისკენ აიღებს.

ნახევარფინალში იაპონიამ ავსტრალიას მოუგო...

და გადამწყვეტი გოლის ავტორმა ნაკატამ განაცხადა: „ადრე კატეგორიულად ვამბობდი, რომ იტალიაში დაბრუნება მსურდა, ახლა კი, ფინალში გასვლის შემდეგ, გული ნაკრებთან დარჩენას მთხოვს. მოკლედ, ერთხელაც მინდა ტრუსიეს ველაპარაკო".

შემდეგ კი თვითმფრინავში ჩაჯდა და რომისკენ გაფრინდა.

და იცით, რომში რა ამბავია?



ჰიდეტოში ნაკატამ ნაკრებს „რომა" არჩია

# ლიპიმ ანჩელოტის ქალი წაართვა




კარლო ანჩელოტი ჯანი ანიელის: რას მერჩოდით, სინიორ?!

**ტურინის** „იუვენტუსის" სურვილი, მწვრთნელად მარჩელო ლიპი დაიბრუნოს, არახალია. როგორც ჩანს, წინააღმდეგი არც ლიპია. ჯანი ანიელიმ, „ბებერი ქალბატონის" მფლობელმაც უკვე ყველაფერი გადაწყვიტა. ახალი სეზონიდან, უფრო კონკრეტულად კი 18 ივნისიდან, კარლო ანჩელოტი „იუვენტუსის" მწვრთნელი აღარ იქნება.

„სინიორ ანიელის პირისპირ ვესაუბრე და გამოგიტყდებით, გულნატკენი დავრჩი. არ მესმის, რატომ მიშვებენ, „იუვენტუსი" ჯერ კიდევ ჩემპიონობისთვის იბრძვის. „რომასთან" და „ლაციოსთან" პრინციპული თამაშები არ წაგვიგია, მართალია, ვერ მოვუგეთ, მაგრამ... ეტყობა, „ლეჩესთან" საშინაო 1:1 არ მაპატიეს — განაცხადა „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტთან საუბარში დაღონებულმა ანჩელოტიმ და დასძინა — მსურდა, „იუვენტუსთან" კიდევ მემუშავა, ბოღმიანი კაცი არ ვარ, მარჩელო ლიპის წარმატებებს ვუსურვებ, მას ხომ დიდებული „იუვენტუსი" ჰყავდა".

ერთი სიტყვით, კარლო ანჩელოტის სამწლიანი ტურინული მოღვაწეობა ამით დასრულდა. ახლა კი ისევ ლიპი, ლიპი და „ბებერი ქალბატონი".

**გიორგი გუგაძიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**XXXVII ტური**

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ალავესი | — | მალიორკა |
| ბილბაო | — | სოსიედადი |
| სელტა | — | ვილიარეალი |
| ესპანიოლი | — | ლას პალმასი |
| მალაგა | — | რასინგი |
| ოსასუნა | — | სარაგოსა |
| ოვიედო | — | რეალი |
| რაიო ვალეკანო | — | ნუმანსია |
| ვალენსია | — | დეპორტივო |
| ვალიადოლიდი | — | ბარსელონა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 36 | 23 | 7 | 6 | 78:38 | 76 |
| დეპორტივო | 36 | 20 | 7 | 9 | 68:44 | 67 |
| მალიორკა | 36 | 18 | 11 | 7 | 53:39 | 65 |
| ვალენსია | 36 | 18 | 9 | 9 | 53:30 | 63 |
| ბარსელონა | 36 | 16 | 11 | 9 | 75:53 | 59 |
| სელტა | 36 | 15 | 10 | 11 | 49:48 | 55 |
| ვილიარეალი | 36 | 15 | 9 | 12 | 54:51 | 54 |
| მალაგა | 36 | 15 | 8 | 13 | 58:56 | 53 |
| ალავესი | 36 | 14 | 7 | 15 | 55:53 | 49 |
| ესპანიოლი | 36 | 13 | 8 | 15 | 43:38 | 47 |
| ბილბაო | 36 | 11 | 10 | 15 | 43:54 | 43 |
| ლას პალმასი | 36 | 12 | 7 | 17 | 39:59 | 43 |
| სარაგოსა | 36 | 9 | 14 | 13 | 53:55 | 41 |
| ვალიადოლიდი | 36 | 9 | 14 | 13 | 39:46 | 41 |
| რაიო ვალეკანო | 36 | 9 | 13 | 14 | 54:66 | 40 |
| ოვიედო | 36 | 11 | 7 | 18 | 48:62 | 40 |
| სოსიედადი | 36 | 10 | 10 | 16 | 49:66 | 40 |
| ოსასუნა | 36 | 8 | 12 | 16 | 41:54 | 36 |
| რასინგი | 36 | 9 | 9 | 18 | 44:60 | 36 |
| ნუმანსია | 36 | 9 | 9 | 18 | 37:61 | 36 |

ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# ბარსელონაში დეპორტივოსი სჯერათ






„ვალენსია" კაპიტან გაისკა მენდიეტას მოისაკლისებს, „დეპორტივოს" კი ჯალმინია შეემატება

ვილას აინტერესებს, რას იზამს მადრიდის „რეალი" „ოვიედოსთან" გასვლაზე? ალბათ, „სამეფო კლუბის" თავგადაკლულ ქომაგებს და ტოტალიზატორების ხშირ სტუმრებს — „დაუწვება" თუ არა უკვე გაჩემპიონებული გუნდი პრიმერადივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლს.

მაგრამ თუ ნაღდი ბრძოლა გვაინტერესებს, ვალენსიაში უნდა გადავინაცვლოთ, სადაც ქალაქის სახელობისავე გუნდი აწ უკვე ექსჩემპიონ „დეპორტივოს" მასპინძლობს.

აზრი, რომ ლაკორუნიელთათვის დარჩენილი ორი ტური უმნიშვნელოა, რაკი ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ოთხ გუნდს შორის ადგილი დაჯავშნული აქვს, მცდარად გვეჩვენება. აი, რატომ: ერთი მიზეზი ისაა, რომ ოთხეულში ყოფნა ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოხვედრას არ ნიშნავს, ამისთვის პირველ, ან მეორე ადგილზე გასვლაა საჭირო. პირველ ვისიცაა, ვიცით, მეორეობაში კი „დეპორტივოს" „მალიორკა" ეცილება. აბა, რად უნდათ გალისიელებს საქმის გართულება და ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად კვალიფიკაციის გავლა. აშკარად არ უნდა.

არის მეორე მიზეზიც, რომელიც კაცობას უკავშირდება. თუ „დეპორტივო" „მესტალიაზე" დამარცხდა, „ბარსელონა" ლიგაში ველარ ხვდება და დაუწერელი კანონის თანახმად, „დეპორტივო" ვალდებულია, „ვალენსიას" ჯიგრიანად ეთამაშოს.

ამის იმედი აქვთ ბარსელონელებსაც. კატალონიური კლუბის საინტერნეტ გვერდზე გამოკითხვა მოეწყო. კითხვა ასეთია: დაეხმარება თუ არა „დეპორტივო" „ბარსელონას"? ლაკორუნიელთა კაცობაში „ბარსას" ქომაგთა 75 პროცენტს ეჭვი არ ეპარება, 25 პროცენტი კი უიმედობას შეუპყრია.

ოღონდ ისე არ გამოგვივიდეს, თითქოს „ბარსელონას" ლიგაში გასვლა ოდენ „დეპორტივოზეა" დამოკიდებული. მთავარი ისაა, რას გააზერხებს „ვალენსია". თქმა იმისა, თუ რას ნიშნავს ეს მატჩი ვალენსიელთათვის, ვფიქრობთ, ზედმეტია, მაგრამ ერთი რამ მაინც აღვნიშნოთ — ბოლო ტურში „ვალენსია" „კამპ ნოუს" სტუმრობს, სადაც წარმატების ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე ახლა შინ. და კიდევ — „ინტერში" გადასვლის წინ ექტორ რაულ კუპერი ბოლოჯერ, წარსდგება „მესტალიაზე" და აბა, რომელ მწვრთნელს სურს, ქომაგებთან წაგებით გამომშვიდობება, მით უფრო, რომ ამ გამარჯვებას ასეთი ფასი აქვს.

ახლა შემადგენლობებზეც. „ვალენსიას" დიდი დანაკლისი აქვს — საისრაელო შეკრებაზე მყოფმა გაისკა მენდიეტამ კუნთი იტკინა. ტრავმირებულია შვედი მცველი იოაკიმ ბიორკლუნდიც, რომელსაც მყესები დაუზიანდა.

მაგრამ ვალენსიელთათვის სასიამოვნო ამბებიცაა — ჟოსელინ ანგლომამ და ზლატკო ზაჰოვიჩმა ტრავმები მოიშუშეს.

„დეპორტივოს" კი წინა ოთხ თამაშში ჯალმინია არ ჰყავდა, რომელიც ახლა დაუბრუნდება გუნდს.

რაც აქამდე ვთქვით ვალენსიური მატჩის მნიშვნელობაზე, შესაძლოა, აზრს მოკლებული იყოს, თუ „ბარსელონამ" ვალიადოლიდში წააგო. ცხადია, ასეთი რამ ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ მაინც. ისე, კატალონიელები შიგადაშიგ შეიტყობენ, თუ რა ხდება ვალენსიაში (ეს მატჩები ერთდროულად იწყება) და თუ გაიგეს, „ვალენსია" იგებსო, ეგებ ყურებიც ჩამოყარონ და თამაშის ხალისი გაუქრეთ.

„ბარსას" დისკვალიფიცირებული ლუის ენრიკე არ ეყოლება, „ვალიადოლიდს" რამდენიმე დღის წინ ნაოპერაციები სერხიო პაჩონი დააკლდება.

დიდი ბრძოლა უნდა გაიმართოს ვიტორიაშიც, სადაც „ალავესი" შეეცდება, ინტერტოტოზე მოხვედრის თეორიული შანსი უფრო რეალურად აქციოს. ბასკებს ამის გაზერხება დისკვალიფიცირებული ოსკარ ტელიესის გარეშე მოუხდებათ.

„ალავესის" მეტოქე „მალიორკას" მიზანი უფრო გამოკვეთილია და ასრულების მეტი შანსიც არსებობს. უკვე აღვნიშნეთ, რომ კუნძულელები „დეპორტივოს" მეორე ადგილს ეცილებიან. შევნიშნოთ, რომ თუ მათ საბოლოოდ ერთნაირი ქულები დააგროვეს, ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის გამო უპირატესობა „მალიორკას" ექნება.

გიორგი დემეტრაძის „რეალ სოსიედადი" ბილბაოში თამაშობს და მშვიდად ყოფნისთვის ქულა მაინც სჭირდება. „ატლეტიკს" კი, რომელსაც მომავალი სეზონიდან სახელოვანი იუპ ჰაიკენსი გაწვრთნის, თავი ქუდში აქვს და მოვალეობის მოხდისთვისღა თამაშობს. მაგრამ ვეჭვობთ, ბასკურ დერბიში ბილბაოელებმა სანსებასტიანელებს რამე დაუთმონ. ამის მიზეზებიც ვთქვათ. „სოსიედადთან" მატჩი „ატლეტიკოსთვის" მუდამ გამორჩეული რამაა, რადგან ბილბაოელებს საზოგადოდ არ უყვართ სანსებასტიანელები. მათზე ამბობენ, ბასკური ჯიგარი არა აქვთო. და მეორე მიზეზიც: წინა სეზონის ბოლო ტურში ბილბაოელები ბასკურ „ალავესს" მასპინძლობდნენ. მატჩამდე, გამარჯვების შემთხვევაში (სხვა შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით), ვიტორიელებს ჩემპიონთა ლიგაში გასვლის თეორიული შანსი ჰქონდათ, ბილბაოელებისთვის ის თამაში არაფერს წყვეტდა. და რა ქნა „ატლეტიკმა"? პირველივე ტაიმში ორი გოლი გაიტანა და მეტოქე დაამარცხა. ასე რომ, ბასკური გარიგება მოხდებაო, არ უნდა ველოდოთ.

გამოსარჩევი მატჩი იქნება ვიგოშიც, სადაც, ფაქტობრივად, უეფას თასზე გამსვლელის ვინაობა ირკვევა — მეექვსეადგილოსანი „სელტა" ჯერჯერობით ქულით უსწრებს „ვილიარეალს". თუ „სელტამ" მოიგო, უეფაზე ის ითამაშებს და თუ „ვილიარეალმა" გაიმარჯვა, ან მატჩი ფრედ დასრულდა, ყველაფერს ბოლო ტური გადაწყვეტს. ისე, რა გინდა — „ვილიარეალი" ამ სეზონის წინ ალზევდა პრიმერადივიზიონში და უკვე ევროთასზე გასაჭრელად იბრძვის.

„ოვიედო" — „რეალზე" ორიოდე სიტყვა თავშიც ვთქვით და დავუმატებთ, რომ სტუმრებს რაული და ფიგუ დააკლდებათ, რომელთაც ნაკრებებში მიღებული მცირედი ტრავმები აწუხებთ, „ოვიედოს" კი მეგოლე ოლი დაუბრუნდა.

მალაგელთა ოცნება ისაა, რომ „სელტა" — „ვილიარეალი" ფრედ დასრულდეს, თორემ სხვაგვარად მათ უეფას თასზე გასვლის შანსი ეკარგებათ. ცხადია, აქ ისიც იგულისხმება, რომ თავად აუცილებლად დაამარცხებენ „რასინგს". ამ წყვილზე ლაპარაკი აქ შევწყვიტოთ, რადგან სანტანდერელთა ბანაკში საინტერესო ამბები ხდება, რომლის შესახებაც ცალკე წერილში მოგახსენებთ.

დარჩენილი სამი წყვილიდან „ესპანიოლი" — „ლას პალმასზე" შეჩერება არ ღირს, რაკი ორივე გუნდს ერთადერთი მიზანი აქვს — დროზე დაიწყოს შვებულება. პამპლონაში და მადრიდში კი მეტოქენი დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვიან.

# რაა?! სამი ქულა, არა...

**ესპანელთა** გულფიცხობისა კარგად მოგეხსენებათ. ისიც უწყით, რაოდენ დაფასებულია ამ ქვეყანაში ფეხბურთი. ჰოდა, ფეხბურთის სიყვარულმა და სამხრეთულმა ემოციებმა ვითარება კანტაბრიულ ქალაქ სანტანდერში გვარიანად დაძაბა. ერთგული ქომაგი სათაყვანებელ გუნდ „რასინგს" გაჭირვების ჟამს გვერდში დაუდგა და უშფოთველი ქალაქური ცხოვრებაც დაიძაბა. აი, ნამდვილი გულშემატკივრობა, ინჩასები „რასინგს" არამარტო მოედანზე ამხნევებენ. ერთგულთა არმია გუნდის ინტერესების ხელყოფას არავის პატიობს და მზადაა, დემონსტრაციებით დაუჭიროს მხარი კლუბის ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელობას.

კლუბის გადაწყვეტილება კი საკმაოდ მძაფრია. ის პრიმერადივიზიონის ბოლო ორი ტურის მატჩებში მოედანზე გაუსვლელობით იმუქრება. სანტანდერელთა წყრომის საფუძველი ევროკავშირული პასპორტების საქმეა. „რასინგის" ხელმძღვანელობას ახლახან გაახსენდა, რომ პირველ წრეში „ლას პალმასის" შემადგენლობაში ნორმაზე მეტი უცხოელი თამაშობდა. კანარელთა ვერაგობას ქვეყანაში ყალბი პასპორტების წინააღმდეგ ჩატარებულმა რეიდმა მოჰფინა ნათელი. „ლას პალმასის" ორი ბრაზილიელი — ალვარო და ბაიანო თურმე თაღლითური გზით გაზერხებული ევროკავშირული საბუთებით სარგებლობდნენ. ასე რომ, „ლას პალმასი" მთელი პირველი წრის განმავლობაში კანონს არღვევდა. სწორედ ეს დაუხვევია ხელზე „რასინგს" და ცდილობს, ფეხბურთის ფედერაციას სამი ქულა დაცინცლოს. საფუძველიც აქვს: კანარელებმა მაშინ სძლიეს, როდესაც უცხოელი ფეხბურთელებით დაკანონებულზე მეტად იყვნენ გაძლიერებულნი.

მსგავსი საქციელისთვის სეგუნდადივიზიონური კლუბი „ხეტაფეც" დასჯილა. მაშ, რატომ არ უნდა შეეწიოს კანონი „რასინგს"? — ამგვარი კითხვა უჩნდება გუნდის ერთ-ერთ ყველაზე დიდ აქციონერსა და კლუბის პრეზიდენტის ძმას, სანტიაგო დიასს. გასაგებიცაა მისი გულისტკივილი — აქციებს დაცემა ელის, საყვარელ გუნდს კი პრიმერადივიზიონიდან დაქვეითება.

„რასინგს" სამი ქულა ჰაერივით სჭირდება, რათა როგორმე თავი დააღწიოს გასავარდნთა ზონას. ამიტომაც აღელვებულა ჯიბის მოსალოდნელი შემსუბუქებით შეშფოთებული დიასი და თავის ფინანსურ პრობლემებთან ქომაგთა გულისთქმაც მიუბამს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიასი, კლუბი, ფეხბურთელები და გულშემატკივარი — ყველანი ერთად უარს აცხადებენ ბოლო ორ ტურში „მალაგასა" და „ატლეტიკთან" თამაშზე. დიასის მოძლვრებას იმდენად დაუმუხტავს ქომაგი, რომ ხალხი სამი ქულის მოთხოვნით შესაძლოა ქუჩებშიც გავიდეს.

ალბათ, დიდ საგონებელშია ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია. იქნებ ხმაურსაც მორიდებოდნენ და სანტანდერელებისთვის სამი ქულაც დაეთმოთ, მაგრამ სად არის გარანტია, რომ „რასინგს" სხვაც არ წაბაძავს და ფედერაციასაც კართან „ლას პალმასისაგან" სამი ქულის მთხოვნელთა რიგი არ დაუდგება? ამიტომაცაა, რომ ფეხბურთის მესვეურნი კანტაბრიელების სამაგალითო დასჯას აპირებენ. სამი ქულის მომატება კი არა, თუ „რასინგი" მალაგაში თამაშზე უარს იტყვის, ცხადია, წაგება ჩაეთვლება, ხოლო თუ მეამბოხეები გონს ამანაც ვერ მოიყვანა და ბილბაოს „ატლეტიკთანაც" იგივე განმეორდა, მაშინ გუნდი ავტომატურად მეორე დივიზიონში დაქვეითდება და იქ რაც არ უნდა იბრწყინოს, პრიმერადივიზიონს 2003 წლამდე ვერ იხილავს.

შეურიგებლები ჩანან კანტაბრიელები. მათ ძალაც აქვთ და სიმართლეც, მაგრამ არა გვგონია, ფედერაციაში მოღვაწე ბობოლებმა მათი გულისთვის დაწყობილი საქმე არიონ. „რასინგსაც", ალბათ, ბედთან შერიგება მოუწევს. დიდ კაცთან პატარას, იქ, ესპანეთშიც, არ გასდის მართალი.

**გიორგი მამარდაშვილი**



სანტიაგო დიასი






დაზარალებული ბარმენი და დამნაშავე გლენ ფერგიუსონი

# რა გვინდოდა ლესბოსელებში?!

**გუშინ** ვწერდით, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ოთხი მოთამაშე და მეკარეების მწვრთნელი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემდეგ პრაღელ პოლიციელთა ხელში მოხვდნენ, თუმცა მათდა საბედნიეროდ პატიმრობამ ერთ დღეზე მეტ ხანს არ გასტანა. მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. ჩეხი ბრალმდებელი ბრიტანელებს ხულიგნობაში ადანაშაულებს და თუ სასამართლოზე თავისი გაიტანა, კუნძულელები, შესაძლოა, ერთი წლით ჩასვან.

შეგახსენებთ, რატომ მოხვდა ბრიტანული ხუთეული გისოსებს მიღმა. ჩეხებთან 1:3 დამარცხების შემდეგ ჩრდილოირლანდიელ მოთამაშეთა ჯგუფი პრაღის ერთ-ერთ ღამის კლუბს ესტუმრა, რომლის სტუმრებიც ძირითადად ლესბოსელები არიან. მერე რატომღაც ჩხუბი ატყდა და ბარის ერთი თანამშრომელი სერიოზულად დაშავდა.

ჩეხურმა პოლიციამ დაპატიმრებულ შფოთისთავთა ვინაობა გაამხილა. ესენი იყვნენ ნაკრების კაპიტანი მაიკლ ჰიუზი („უიმბლდონი"), დევიდ ჰელი („პრესტონი"), გლენ ფერგიუსონი („ლინფილდი"), პიტერ კენედი („უოტფორდი") და მეკარეთა მწვრთნელი ტომი რაიტი.

BBC-ის ცნობით, 23 წლის ნაცემი ბარმენი ჰოსპიტლიდან მალევე გაწერეს, ღამის კლუბი კი, სადაც ჩხუბი მოხდა, არცთუ ძალიან დაზარალდა.

**ნიკა ზუბლაძე**

# პირზე მომდგარსა სიტყვასა...

## პორტუგალიამ, მიჭირს და შემეშვითო

**პორტუგალია** არ არის მზად, უმასპინძლოს ევრო-2004-ს, რომელიც დიდ ხარჯს მოითხოვს. ასე ფიქრობს ამ ქვეყნის გავლენიანი ტელეჟურნალისტი კარლუშ კრუზი. არადა, თავის დროზე სწორედ მან წამოაყენა უეფაში წინადადება, რომ ჩემპიონატი პორტუგალიაში ჩაეტარებინათ, ახლა კი ამას ნანობს:

„ჩემი მხრიდან ეს იყო არა მხოლოდ შეცდომა, არამედ ნამდვილი ცოდვა, რომელიც მთელმა ქვეყანამ უნდა ზღოს. პორტუგალიაში ფინანსური კრიზისი და ინფლაციაა, რის გამოც ქვეყნის თითქმის მთელი მოსახლეობა მევალედ იქცა. ამიტომ, ახლა ევროპული პირველობის ორგანიზება სრულიად წარმოუდგენლად მეჩვენება. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს საქმე საერთოდ წამოვიწყე".

დაგვეთანხმებით, საჩოთირო ვითარებაა. გავრცელებული ხმებით, უეფამ უკვე მიმართა ესპანეთს, რომელიც თავის დროზე პორტუგალიის კონკურენტი იყო, თუმც ესპანელები აცხადებენ, ჩვენთვის უეფადან არავის არაფერი უთქვამსო. მეორე ვერსიით, ესპანელებმა თავმოყვარეობის გამო იუარეს.

ბოლოს კი დავუმატოთ, რომ თუ ევროპის ჩემპიონატის ჩატარების ადგილი პორტუგალიიიდან მართლაც გადაიტანეს, ეს ევროპისთვის არნახული სენსაცია იქნება, ხოლო პორტუგალიელთათვის — არნახული სირცხვილი.

**ლუკა გეგეჭკორი**



# უყურმესი

**სერ ალექს ფერგიუსონმა** სრულიად უცნობ ფეხბურთელს დაადგა თვალი და კლუბს მასთან კონტრაქტის გაფორმება მოსთხოვა. „იუნაიტედი" მწვრთნელის მოთხოვნას უყოყმანოდ დათანხმდა — რას კარგავს, ფეხბურთელი ერთ პენსსაც არ ითხოვს და ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. დენი კულთარდმა (ფეხბურთელის სახელია) ბედნიერებისგან ლამის ტირილი დაიწყო, ოცნება ამისრულდა, დევიდ ბექემის თანაგუნდელი მქვიაო.

ახლა კი აღვნიშნოთ, რომ თვით სერ ალექსისგან მოწონებული დენი ოდენ რვა წლისაა და „მანჩესტერის" ყველაზე ყრმა წევრია. თუმცა რატომ „მანჩესტერის", რომელი ბავშვი გინახავთ, მის ასაკში პროფესიული კონტრაქტი ჰქონდეს.

რომ არ ვთქვათ, ალბათ, ისედაც მიხვდით, რომ დენი ქულთარდისა და დევიდ ბექემის ერთად თამაში გამორიცხულია. პატარა ვუნდერკინდი ჯერ „იუნაიტედის" ბავშვთა სკოლაში ივარჯიშებს, მერე კი ვნახოთ.

ისე, სწორად ამ სკოლის აღზრდილები არიან ნიკი ბათი, პოლ სქოულზი და ფილ ნევილი.

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### ოკეანეთი

II ჯგუფი. III ტური

**სოლომონის კ-ები 7:2 ვანუატუ**

0:1 ივაი (9), 1:1 ვიკემი (18), 2:1 მენაპი (46), 3:1 ვიკემი (48), 4:1 ვაიტა (49), 5:1 სამანი (62), 6:1 მენაპი (73), 7:1 სური (80), 7:2 ივაი (90)

**ახალი ზელანდია 2:0 კუკის კ-ები**

1:0, 2:0 პიკო (65, 67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოლომ. კ-ები | 2 | 2 | 0 | 0 | 16:3 | 6 |
| ახალი ზელანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| ვანუატუ | 3 | 1 | 0 | 2 | 11:14 | 3 |
| ტაიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:6 | 3 |
| კუკის კ-ები | 3 | 0 | 0 | 3 | 2:19 | 0 |

*11 ივნისი: სოლომონის კ-ები — ახალი ზელანდია; კუკის კ-ები — ტაიტი*

*13 ივნისი: ახალი ზელანდია — ვანუატუ; ტაიტი — სოლომონის კ-ები*

### ამხანაგური მატჩი

**აშშ 0:0 ეკვადორი**

აშშ: ფრიდელი, ბერჰალტერი (მასტროენი 46), ფრეზერი, პოპა, ე. ლუისი, კ. რეინა, ობრაიენი, სანე (ენოქსი 62, რ. უილიამსი 90), ჩეროუნდოლო (ტორინგტონი 71), ჯ. მური, კიროვსკი

ეკვადორი: ჯ. იბარა, ი. ურტადო, დე ლა კრუზი, გუერონი, ხ. აგინაგა, ვ. სანჩესი (აიოვი 63), კალა, ესპინოზა, ე. მენდესი, ტენორიო, ა. დელგადო

მსაჯი: ხოსე ფარიასი (კანადა)

12 572 მაყურებელი

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

IX ჯგუფი

**ალბანეთი 0:1 გერმანია**

0:1 ბრუნსი (3)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 4 | 1 | 1 | 15:5 | 13 |
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| ინგლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 8 |
| ფინეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |
| ალბანეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 0:14 | 1 |

### ფინეთი

მე-10 ტური: იოკერიტი — ჯაზი 3:0; ჰაკა — კუოპიო 2:0; ჰიკ — ტამპერე 2:2; მიუპა — ლაჰტი 1:0; როპსი — ინტერი 0:1; ვაასა — ატლანტისი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 11 | 5 | 5 | 1 | 16:6 | 20 |
| მიუპა | 10 | 5 | 4 | 1 | 16:7 | 19 |
| ჰაკა | 10 | 5 | 3 | 2 | 13:5 | 18 |
| ინტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:9 | 17 |
| ატლანტისი | 9 | 4 | 4 | 1 | 12:7 | 16 |
| ვაასა | 10 | 4 | 1 | 5 | 10:14 | 13 |
| ტამპერე | 8 | 3 | 3 | 2 | 7:8 | 12 |
| იოკერიტი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:15 | 9 |
| როპსი | 8 | 1 | 4 | 3 | 5:10 | 7 |
| ლაჰტი | 9 | 2 | 1 | 6 | 5:11 | 7 |
| კუოპიო | 9 | 1 | 4 | 4 | 3:10 | 7 |
| ჯაზი | 9 | 1 | 2 | 6 | 4:15 | 5 |

24 ინფორმაცია საათის განმავლობაში
ფეხბურთი
NHL
NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

### კონფედერაციათა თასი

**ხვალ ფინალი. იაპონია — საფრანგეთი**

# ფრანგებს მოსაგები კონფედერაციის თასიღა დარჩათ

**კვირას** მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფრანგები და აზიის ჩემპიონი იაპონელები იოკოჰამაში ერთმანეთს კონფედერაციათა თასს შეეცილებიან. სამფეროვანთა ნაკრები უდავო ფავორიტია, მაგრამ თვით ფრანგთა მწვრთნელი და ნაკრების წევრები მატჩის წინ სხვაგვარად არიან განწყობილნი. თუმცა მათი სიფრთხილე ტაქტისა და წინდახედულობის შედეგი უფროა, ვიდრე რეალურად არსებული სიძნელეებისა. ფრანგი მცველი ლებეფი საკვირაო მატჩის შესახებ ამბობს, თამაში დაძაბული იქნება, იაპონელები არაფერს დათმობენ და თუ გვინდა, წარმატებას მივაღწიოთ, ძალების სრული მობილიზება გვმართებსო. ამასვე ფიქრობს მწვრთნელი როჟე ლემერი: „ისინი ნელნელა გაძლიერდნენ, გუნდიცააწყვეს. ტრუსიეს შეგირდები არცთუ ურიგო ფეხბურთს თამაშობენ და ხელწამოსაკრავნი არავისთვის არიან. კვირას რთული მატჩი იქნება და ჩვენც სერიოზულად ვემზადებით".



იაპონელთა ფრანგი მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე

იაპონელებს საკუთარი კედლები და იოკოჰამას სტადიონის პირთამდე შევსებული ტრიბუნები დაეხმარება. ფინალურ მატჩზე, ქალაქის ცენტრალურ სარბიელზე, ალბათ, ნემსიც არ ჩავარდება. სტადიონი კი სამოცდათორმეტ ათას გულშემატკივარს იტევს.

ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრებმა ტურნირზე მართლაც რომ ჩინებულად ითამაშა, ჯგუფში კამერუნელებსა და კანადელებს სძლია, ბრაზილიელებთან ფრეც გაახერხა და პირველ ადგილზეც გავიდა. იაპონელებმა ხასიათის სიმტკიცე ნახევარფინალურ მატჩშიც აჩვენეს. მასპინძლებმა ავსტრალიელებს სწორედ რომ ჟინითა და მებრძოლი სულით აჯობეს. ისინი ფინალში არიან და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებსაც შეერკინებიან.

იაპონელებს ვერ დაეხმარება გუნდის სული და გული, კაპიტანი ჰიდეტოში ნაკატა. მან იტალიურ „რომას" მიაშურა, სადაც კლუბთან ერთად სერია A-ს გათამაშების დასკვნით მატჩებში ითამაშებს. გაფრთხილების გამო არ იქნება სუზუკიც.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები აზიაში საუკეთესოებს ამ რამდენიმე თვის წინ პარიზში ამხანაგურად დაუპირისპირდნენ. მაშინ ევროპელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე. ალბათ, ფრანგებს ახლაც არ უნდა გაუჭირდეთ ამჟამად მასპინძელი იაპონელების ძლევა. კონფედერაციათა თასის გათამაშებას ავტორიტეტულს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრანგების ეროვნულმა გუნდმა ბოლო ოთხი წლის მანძილზე ყველაფერი მოიგო, რაც მოსაგები იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ სამფეროვნები თავიანთ ჯილდოებს ერთსაც მიუმატებენ და ამ თასსაც პარიზში წაიღებენ.

**გიორგი გამარდაშვილი**



ფრანგთა მეკარე ულრიხ რამეს იოლი მატჩი არ ელის

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

იყიდება როტვეილერის ლეკვები
☎ 39 42 65
(საღამოს, 19⁰⁰-21⁰⁰)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. II ტური



ბაჩუკი კაპანაძის ფოტო

ფოტოზე აღბეჭდილი დაძაბულობა მატჩის ანგარიშს სულაც არ ასახავს

# ქუდზე კაცი!

## ქართული ჯარი რელსებზე შედგა

| თბილისი. ავლაბარი. 8 ივნისი. |
| --- |
| ასკ 3:44 აია |
| ასკ: ხინჩაგიშვილი, ზაქარაიძე, სუთიაშვილი, მიქელაძე, გიორგობიანი, ფ. უდუსიანი (ჯეირანაშვილი), გეგეშიძე; თათოესიანი, ორდენიძე, ლ. ლიპარტელიანი, ბერძენიშვილი, მამაიაშვილი, ვაშაყმაძე, აფაქიძე (ლადუა), დათუნაშვილი |
| ჩ: ხინჩაგიშვილი |
| აია: რ. ხელაძე, შ. ცხვედიანი (კ. გიორგაძე), იობაშვილი, ზვიადაძე, ნამჩევაძე, ჩუბინიძე (გ. კუხიანიძე), სორდია; ქოლაძე (ფრუიძე), დადუნაშვილი (მ. კუხიანიძე), ბუხაიძე (კეპულაძე), ნემსაძე, ქველიძე (თ. ბალანჩივაძე), გოგისვანიძე (კიკვიძე), მინაძე, საყვარელიძე. |
| 7ლ: საყვარელიძე, ცხვედიანი, იობაშვილი, ნამჩევაძე, ზვიადაძე, მ. კუხიანიძე, მინაძე; 3გ: ჩუბინიძე, ზვიადაძე (2); ჩ: ჩუბინიძე |
| მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი |
| მეთვალყურე: გიორგი ბერიაშვილი |

„იოლად გავიმარჯვეთ. ნაყოფიერი ვარჯიში გამოგვივიდა. არადა, მეტოქისგან უფრო მეტს ველოდით. ვიცოდით, რამდენიმე მორაგბე „ლოკომოტივმა“ ათხოვა ასკ-ს. „ლოკომოტივი“ სერიოზული კლუბია, ამდენად უფრო მძაფრი წინააღმდეგობისთვის ვიყავით მზად, მაგრამ ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. ამ მატჩშიც გვაკლდა ტრავმირებული მორაგბეები. ავთო კოპალიანმა, ლევან შარვაშიძემ, ირაკლი გიორგაძემ, ოთარ ტორაძემ ტრავმების გამო ვერ შესძლეს ამ მატჩში მონაწილეობა. გოჩა ლილუაშვილი დისკვალიფიცირებულია, თედო ზიბზიბაძე კი ფეხმტკივანი დაგვიბრუნდა ბრიტანეთიდან. ამიტომ თითქმის სათადარიგო მორაგბეებით დავაკომპლექტე უკანა ხაზი, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის“ — გვითხრა მატჩის შემდეგ ქუთაისელთა მთავარმა მწვრთნელმა დიმიტრი ფულარიამ.

სტუმრებმა შვიდი ლელო, სამი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გაუტანეს მასპინძლებს. პასუხად კი ერთი კინკილა ჯარიმა მიიღეს და ისიც მაშინ, როდესაც ანგარიში 27:0 იყო ქუთაისელთა სასარგებლოდ. „აიამ“ დამსახურებულად, ყოველგვარი ძალების დაძაბვის გარეშე მოუთავა არმიელებს საქმე და ჩემპიონატში პირველი ორი ქულა მიითვალა, აბა, ასეთ მატჩზე ღირს რაიმეს წერა? სათქმელი ერთია და ეს ასკ-ის დღევანდელი მდგომარეობაა.

მატჩამდე მხოლოდ ორი დღის წინ შეიკრიბა გუნდი და ხეირიანი ვარჯიშის ჩატარებაც ვერ მოასწრო. ან კი რა უნდა ეთქვათ მწვრთნელებს მორაგბეებისთვის, რომელთა შესაძლებლობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ზოგი „ლოკომოტივმა“ დაახმარა არმიელ კლუბს, ზოგიც ბავშვთა ლიგებიდან დაიმატეს თბილისელებმა. ამ დროს ძნელია, რომ მიზანი ან გნებავთ კონკრეტული ტაქტიკა დაუსახო ორ დღის წინ შობილ გუნდს. ეს არმიელთა თამაშზეც აისახა. არანაირი კავშირი რგოლებს შორის, მორაგბეთა სრული შეუთანხმებლობა, ქაოსური შეტევები, ისიც თითზე ჩამოსათვლელად და არარსებული დაცვა. თუმც ეს რა მოსატანია, როდესაც ასკ-ის მორაგბეებმა ერთმანეთის სახელებიც არ იცოდნენ და მატჩის შემდეგღა კითხულობდნენ.

ჰოდა, არც არის გასაკვირი, რომ ახალგაზრდულმა, მაგრამ უკვე შეკრულმა და საკმაოდ გამოცდილმა „აიამ“ ორმოცი ქულის სხვაობით მოუგო მეტოქეს.

მატჩის შემდეგ ასკ-ის ერთ-ერთ მწვრთნელს, ავთო ღიბრაძეს, დანა პირს არ უხსნიდა: „სახელი კი გვაქვს, ქვას რომ ხეთქავს, მაგრამ რად გინდა? თავდაცვის სამინისტრო არანაირ ყურადღებას არ იჩენს გუნდის მიმართ. როგორც ვხედავ, მათ საერთოდ არ აინტერესებთ სპორტი. გუნდი დაშლის პირას იყო. შენც არ მომიკვდე, არანაირი დახმარება, ან თუნდაც ერთი გასამხნევებელი სიტყვა. მგონი, არც ის უნდათ, ამ სტადიონზე ვითამაშოთ, რომ არა სტადიონის დირექცია, რომელიც მუდამ გვერდში გვიდგას, ეგებ ვერც ეს მატჩი გვეთამაშა. ღვთის მადლით, კიდევ არის ხალხი, რომელთაც სიკეთის კეთება ძალუძთ. აგერ, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობა დაგვეხმარა, რამდენიმე მორაგბე მოგვაშველა. ცოტა ჩვენც გავინძერით და მავანთა ჯინაზე პირველი მატჩიც ვითამაშეთ მიმდინარე ჩემპიონატში, არც მე და არც გოჩა აბაშიძეს არ გვინდა ფული, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვმუშაობთ. სხვაგვარად არ შეგვიძლია. რაგბის გარეშე ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ცოტა თუ დაგვცალდა, ამ ბიჭებისგან მალე ძლიერ გუნდს ჩამოვაყალიბებთ“.

**ბაჩო სვანიძე**

ბალახის ჰოკეი

# ერთი გოლი ვენაში

**ვენაში** დასრულდა ბალახის ჰოკეისტთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება C ჯგუფში. ამ ტურნირში შვიდ სხვა გუნდთან ერთად ქუთაისის „იმერეთიც“ მონაწილეობდა. ჩვენებურთა პრეტენზიები მოკრძალებული იყო — ჯგუფში ადგილის შენარჩუნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ესეც ვერ მოხერხდა.

„იმერეთმა“ ოთხივე მატჩი წააგო: ავსტრიის „ვინერთან“ (0:12), დანიის „სლაგელსესთან“ (0:15), ხორვატიის „იედინსტვოსთან“ (0:8) და უელსის „უაიტჩერჩთან“ (1:8). ტურნირი კი „ვინერმა“ მოიგო, რომელმაც ფინალში 2:1 მოუგო უკრაინის „კოლოსს“.

**დავით სულხანიშვილი**

ევროპის ჩემპიონატი

# ოჰრიდში ლიდერებმა იმატეს

**კიდევ** ცოტათი შესქელდა მაკედონურ ოჰრიდში მიმდინარე ევროპის ვაჟთა პირველობის მოწინავე ჯგუფი. მე-7 ტურში ლიდერები მშვიდობიანად იყვნენ განწყობილნი. ერთმანეთში ყაიმით ითამაშეს სომეხმა სმბატ ლპუტიანმა და რუსმა კონსტანტინ ასეევმა, უკრაინელმა გეორგი ტიმოშენკომ და ვადიმ მილოვმა შვეიცარიიდან. არც მდევართა შორის შეინიშნებოდნენ მეამბოხენი, მხოლოდ ჰოლანდიელმა ლუკ ვან ველიმ შეინარჩუნა წინა ტურებში აკრეფილი სიჩქარე და რუმინელ იორდანესკუს კოხტად მოუგო, ამიტომ ჩემპიონატს უკვე ოთხეული კი არა, ხუთეული ლიდერობს.

ვან ველის ერთადერთი მიზანი ტიტულია, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე პერსონალური მიწვევა აქვს და გამსვლელი ადგილი არ აინტერესებს. ასეთივე სიტუაციაშია ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომლის სტარტი ოჰრიდში შთამბეჭდავი ვერ იყო, მაგრამ მოხვდა თუ არა ცხრილის სიღრმეებში და მეტოქეებად უკლასო მოჭადრაკეები ერგო, ქართველმა ისევ მოგება დაიწყო და ახლა უკვე გვარიანად მაღლა აიწია.

მე-7 ტურში აზმაიფარაშვილის ბერძენი მეტოქე იგორ მილადინოვიჩი ქართველის დონისა აშკარად არ იყო (რეიტინგ-ლისტში აზმაიფარაშვილი 151 პუნქტით უსწრებს), ამიტომ თუნდაც შავებით აზმაიფარაშვილმა მოგებაზე ითამაშა. დებიუტში თეთრებმა პაიკებით მეფის ფრთაზე შეუტიეს, მაგრამ ბერძენს ცენტრიდან ელემენტარული ტაქტიკური დარტყმა გაეპარა და ფიგურის დროებითი შეწირვით ქართველმა პაიკი მოიგო. მატერიალური უპირატესობის რეალიზებამ საამო გარემოში ჩაიარა, დიდი ბრძოლა იყო, მაგრამ შავები მთელი ხნის მანძილზე აკონტროლებდნენ სიტუაციას და აზმაიფარაშვილს ქულა დარჩა. შავებითვე მოიგო იმ დღეს მიხეილ მჭედლიშვილმა, მაგრამ იგი ცხრილში ფრიად ჩამორჩებოდა და ამ მოგებას რაიმე გამოსაჩენ ადგილზე არ გაუყვანია.

ზვიად იზორიამ წააგო, სხვა ქართველებს კი ნახევარ-ნახევარი ქულა შეემატათ. ლიდერებთან ახლოს მავალი ზურაბ სტურუა შავებით ჰოლანდიელ დენის დე ფროიტს ეთამაშა და იარაღად ფრანგული დაცვა არჩია. 15 სვლის მანძილზე მეფეები ცენტრში იყვნენ და მერე ორივემ ლაზიერის ფრთას მიაშურა, რაც ჭადრაკში იშვიათობაა. პირველი აგრესია სტურუას კიდურა პაიკმა გამოამჟღავნა მეფის ფრთაზე, მაგრამ იგი იქ მარტო იყო და ნაკლებ საშიში. მერე ზომიერი გაცვლები მოხდა და ახლა თეთრი პაიკები დაიძრნენ ლაზიერის ფრთის საიერიშოდ, თუმც, მხოლოდ დაიძრნენ... კიდევ გაცვლები, მერე კი მთელ დაფაზე გახსნილი თამაში გაჩაღდა, მაგრამ ფიგურათა სილაღის მიუხედავად, არც ერთ მხარეს ხელშესახები უპირატესობის მოპოვება არ უცდია. ენდშპილი ლაზიერების მონაწილეობით დაიწყო და დე ფროიტმა ერთ მომენტში სტურუას ფიგურის სახიფათოდ დაბმა მოახერხა, მაგრამ ქართველმა ხარისხი გაწირა, პაიკი მიიღო და ორმხრივი ფაქიზი კომბინაციების შემდეგ დაფაზე თეთრი ეტლი და პაიკი, შავი კუ და ორი პაიკი დარჩა. დე ფროიტმა ერთ პაიკს წესი აუგო, მაგრამ ეს იყო ბოლო, რაც გამარჯვებისთვის გააკეთა. 69-ე სვლაზე ზავი გაფორმდა.

იგივე შედეგი უჩვენა გიორგი ყაჭეიშვილმა და ახლა ორი ქართველი კვლავ ლიდერებს უდგას კვალში. მათ 26 მოჭადრაკის დარად 4,5 ქულა აქვთ, აზმაიფარაშვილს — 4, ჯობავას — 3,5, მჭედლიშვილს — 3 და იზორიას — 2,5. ჩემპიონატის ნახევარი მიიწურა.

**დავით გულუა**

| ვითარება 7 ტურის შემდეგ |
| --- |
| 1-5. კონსტანტინ ასეევი (რუსეთი), სმბატ ლპუტიანი (სომხეთი), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), გიორგი ტიმოშენკო (უკრაინა), ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 5,5; 6-17. ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი), კარენ არსიანი (სომხეთი), რაფაელ ვაგანიანი (სომხეთი), ბორის ავრუხი (ისრაელი), ლუის გალეგო (პორტუგალია), ალექსანდერ გრაფი (გერმანია), ბარტოლომეი მაჩეისა (პოლონეთი), სერგეი მოვსესიანი (ჩეხეთი), ლივიუ დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი), რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი), კონსტანტინ საკაევი (რუსეთი) |

ფარიკაობა

საქართველოს ჩემპიონატი

# ოქრო თბილისმა და ქუთაისმა დაიტაცეს

**გუშინ** დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ფარიკაობაში. დაახლოებით ორმოცდაათამდე სპორტსმენი სამი დღის განმავლობაში ეცილებოდა ერთმანეთს ქვეყნის პირველი მოფარიკავის ტიტულს. განსაკუთრებით კი თბილისელმა და ქუთაისელმა მოფარიკავეებმა ისახელეს თავი. მედლების ლომის წილი სწორედ ამ ორი ქალაქის ფარიკაობის სკოლის აღსაზრდელებმა მიისაკუთრეს.

რაპირით მოფარიკავე ლია ძნელაძემ პირველობა არავის დაუთმო და ფინალში თანაქალაქელ ნატო კობიაშვილს აჯობა. დაშნაში კი ვერავინ გაეჯიბრა ქუთაისელ ქალებს. სამივე სინჯის მედლები სწორედ იმერელმა მანდილოსნებმა ირგუნეს. ჩემპიონი ანა აბრამიშვილი გახდა, რომელმაც მეტად დაძაბულ ფინალში თავის მეგობარს, ბელა მამარდაშვილს მოუგო.

ვაჟებმა პირველად რაპირაში გამოავლინეს ჩემპიონი. ოქროთი დაიმშვენა მკერდი თბილისელმა ირაკლი ლალანიძემ, ვერცხლი კი ოლეგ ჩერნიშოვს დარჩა. ხმალში კახა მახარაძე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. კახამ ფინალურ ბრძოლაში ზურაბ იოსებიძეს გაცილებით მეტი ჩხვლეტა მიაყენა, ვიდრე თავად მიიღო მეტოქისგან.

დაშნაში ჩემპიონი ალექსანდრე ზახაშვილი გახდა, რომელმაც ფინალში ლაშა სოფრომაძე დაამარცხა.

ჩემპიონატის პარალელურად, ტრაგიკულად დაღუპული ნანა დარასელიას, ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირიც მოეწყო. მასში აწ გარდაცვლილი მოფარიკავის მეგობრებმა მიიღეს მონაწილეობა. თასი თეონა გალუაშვილმა აღმართა, მეორე ადგილი ქეთევან გაჩეჩილაძემ დაიკავა, მესამე საპრიზო ადგილი კი ირინა ფეიქრიშვილმა და ინგა ფრანგიშვილმა გაიყვეს.

ეს ტურნირი მანანა დარასელიას მეგობრების ინიციატივით გაიმართა და ამიერიდან ყოველწლიურად გათამაშდება, მასში გამარჯვებულს გარდამავალი თასი გადაეცემა. როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებმა გაგვანდეს, მომავალში ტურნირი საერთაშორისო გახდება და ქართველებთან ერთად თასის მოსაპოვებლად კავკასიის სხვა ქვეყნების მოფარიკავეებიც იბრძოლებენ.

**ბაჩო სვანიძე**

**ვაჟები**

რაპირა
1. ირაკლი ლალანიძე (თბილისი)
2. ოლეგ ჩერნიშოვი (თბილისი)
3. ირაკლი გობეჯიშვილი (თბილისი) და გოჩა ქიჟინაძე (ქუთაისი)

დაშნა
1. ალექსანდრე ზახაშვილი (თბილისი)
2. ლაშა სოფრომაძე (თბილისი)
3. სერგო ხატიაშვილი (თბილისი) და შალვა კოკოჩაშვილი (თბილისი)

ხმალი
1. კახა მახარაძე (თბილისი)
2. ზურაბ იოსებიძე (თბილისი)
3. ვალერი ინწკირველი (გაგრა) და იმედა გათენაძე (ბათუმი)

**ქალები**

რაპირა
1. ლელა ძნელაძე (თბილისი)
2. ნატო კობიაშვილი (თბილისი)
3. ნათია ჩიჩილაძე (ქუთაისი) და ელენე საფარიძე (ბათუმი)

დაშნა
1. ანა აბრამიშვილი (ქუთაისი)
2. ბელა მამარდაშვილი (ქუთაისი)
3. ნათია ჩუბინიძე (ქუთაისი) და სოფიკო მარგველიშვილი (ქუთაისი)

# ჩვენი ხუთი რგოლის ბურუს-ნათელი

## უფასო რეკლამა სამი მილიარდი მაყურებლისთვის



ელგუჯა ბერიშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ჯანო ბაგრატიონი და ნონა გაფრინდაშვილი გუშინდელ პრესკონფერენციაზე

**საქართველოდან** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხუთ ორდენოსანს კიდევ ორი შეემატა. ესენი არიან ვეტერანი მოჭიდავეები, ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ლევან თედიაშვილი და ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი რომან რურუა. ამ სასიამოვნო ინფორმაციით დაიწყო გუშინ გამართული საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა, მერე კი მის ხელმძღვანელთა პრესკონფერენციაც.

ერთგანაც და მეორეგანაც გაცხადდა კიდევ ერთი სასიამოვნო ცნობა. კერძოდ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარჩინების დიპლომით ჩვენი ვეტერანი ჩოგბურთელის, სხვა ტიტულებთან ერთად ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორის ლეილა მესხის დაჯილდოების თაობაზე. ეს მან დაიმსახურა სოკ-ის ერთ-ერთ ნომინაციაში („ქალები და სპორტი“) წარმატებისთვის. ამას გარდა, სოკ-ის სხვა ნომინაციაში („სპორტული ენთუზიაზმის“) წარმატებას მიაღწია სეოკ-ის შიდა ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე გივი ხაჩიძემ.

იყო სხვა მილოცვები და სასიამოვნო ინფორმაციაც. მათ შორის ისიც, რომ სეოკ-ის თხოვნის საფუძველზე ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გრანტის სახით ჩვენს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს გადასცა დიდად ცნობილი ფირმა „ელეიკოს“ ორი უძვირფასესი სავარჯიშო შტანგა, რომელიც თავის მხრივ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას გადაულოცეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საჩუქარი იყო, სეოკ-ს შვედეთიდან თბილისში მათი ტრანსპორტირების, აგრეთვე ინვენტარის განბაჟებასთან დაკავშირებული ხარჯები შტანგების ღირებულების ნახევარი დაუჯდა.

მაგრამ აღმასკომის სხდომა და პრესკონფერენცია მხოლოდ სასიამოვნო ინფორმაციისა და მილოცვების მოსასმენად არ მოუწვევიათ. სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე იმსჯელეს მრავალ მტკივნეულ პრობლემაზე, მათ შორის „ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“ და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეებისთვის სამზადისზეც.

სამწუხაროდ, ერთგანაც და მეორეგანაც დიდი პრობლემები შექმნილა. ითქვა, რომ გაისად სოლტ ლეიკ სიტიში გასამართ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე სავარაუდოდ იასპარეზებს ოთხი სპორტსმენი. მათგან მონაწილეობის ლიცენზიები უკვე მოიპოვეს სამთომოთხილამურე სოფიო ახმეტელმა და ტრამპლინიდან მხტომელმა კახა წაქაძემ.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოსაპოვებელი აქვს ფიგურულად მოციგურავე ვახტანგ მურვანაძეს, ვინც საამისოდ ზაგრების საკვალიფიკაციო ტურნირზე საუკეთესო 15 სპორტსმენს შორის უნდა დაიმკვიდროს ადგილი. ლიცენზიებისთვის სათანადო ქულები აქვთ დაგროვილი სამთომოთხილამურეებს რობერტ მახარაშვილს და თენგიზ ბაქრაძეს.

რაც შეეხება თვენახევრის მერე მურსიაში (ესპანეთი) გასამართ VI ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში მონაწილე საქართველოს სპორტსმენებს, ესენი არიან:

*ძიუდოისტები — ვაჟა კოტორაშვილი, მინდია ხომიზური, არჩილი შათირიშვილი, ჯარჯი ზვიადაური, გრიგოლ შინჯიკაშვილი, თედორე აბელაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი;*

*ჩოგბურთელები — ნანა უროტაძე და ლადო ჩიხლაძე;*

*მძლეოსანი — მარიამ ქევხიშვილი;*

*მოცურავე — ანა სალნიკოვა.*

მურსიასა და სოლტ ლეიკ სიტიში გამოსასვლელად საქართველოს სპორტსმენთა ვინაობა რამდენადაც მეტნაკლებად ნათელია, იმდენად ბურუსითაა მოცული იმ შეჯიბრებისთვის მზადებისა და გამოსვლის შესაძლებლობა, რაც ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება. ამაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, რადგან სეოკ-მა ჟურნალისტებს გადმოგვცა განცხადება, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

სხვათა შორის, ჩვენი გულისტკივილი ახლოს მიაქვს უცხოელებს, მათ შორის ამერიკელ ჯეკ ჰესინგერსაც, რომელიც დაინიშნა საქართველოს ეოკ-ის ატაშედ ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებზე.

რაკი სიტყვა მასზე ჩამოვარდა, გაცნობებთ, რომ ჯეკ ჰესინგერი დაიბადა 1930 წლის 25 ივნისს ნებრასკაში (აშშ). თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს. გატაცებული იყო მძლეოსნობით.

26 წლის განმავლობაში იმსახურა სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ფლოტში, მათ შორის კორეა-ვიეტნამის ომების პერიოდსა და კუბის კრიზისის დროსაც. მინიჭებული აქვს უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების ხარისხი. დაჯილდოებულია მედლით ფლოტში სამსახურის პერიოდში ავიაციაში კომპიუტერული პროგრამების დანერგვისთვის.

მსახურობდა ატლანტის საფოსტო პროცესორული ცენტრის დირექტორად.

1996 წელს ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების პერიოდში იყო საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის რწმუნებული ატლანტაში არის. „FRIENDSHIP FORCE“-ის წევრი ატლანტაში 1977 წლიდან.

ბატონი ჯეკ ჰესინგერი და მისი მეუღლე არიან ინიციატორები იმ მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული დახმარებისა, რომელსაც ატლანტა და ჯორჯიის შტატი ათ წელიწადზე მეტია რაც უგზავნის საქართველოს (ბავშვთა ინტერნატები, საავადმყოფოები და ა. შ.).

ჯეკ ჰესინგერი გარკვეულ დახმარებას ჰპირდება ჩვენს ოლიმპიელებსაც. მათზე, ცხადია, დიდად ზრუნავს სპორტის ზამთრის სახეობათა პრეზიდენტი, სეოკ-ის ვიცე პრეზიდენტი გოგი თოფაძე, რომელმაც სოლტ ლეიკ სიტიში ჩვენი დელეგაციის გამოსასვლელად უკვე გაიღო გვარიანი ხარჯები, მაგრამ ამ საქმეში არც სახელმწიფო და გნებავთ სხვა მეწარმენი უნდა გადგნენ განზე.

პრესკონფერენციაზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა მოსწრებულად შენიშნა: ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო დროშას სამ მილიარდამდე ტელემაყურებელი სულ ცოტა ერთი წუთის განმავლობაში უყურებს, რაც ქვეყნისთვის უზარმაზარი რეკლამაა. ასეთი რეკლამისთვის ფულს არავინ იშურებს და არც არავინ უნდა დაიშუროსო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს სპორტული საზოგადოებრიობისა და გულშემატკივართა ინფორმირებას იმ სერიოზულ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიქმნა ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშებსა (სოლტ ლეიკ სიტი, აშშ, 2002 წ. თებერვალი) და ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის VI ოლიმპიურ დღეებში (მურსია, ესპანეთი, 2001 წ. ივლისი) ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ პრობლემათა მოგვარებას აქვს არა მარტო სპორტული, არამედ ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

სეოკ-ი თვლის, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ განსაკუთრებული მნიშვნელობის შეჯიბრებებში თუნდაც მცირერიცხოვანი დელეგაციით მონაწილეობაზე უარის თქმა გამოუსწორებელ და სერიოზულ ზიანს მოუტანს ქართულ სპორტს, მნიშვნელოვნად შეაფერხებს ახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატებას, მორალურ ტრავმას მიაყენებს სპორტსმენებსა და მწვრთნელებს, საეჭვოს გახდის ქართული სპორტის მდიდარი და საამაყო ტრადიციების ხვალინდელ პერსპექტივას, უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნის იმიჯზე.

ორივე სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის მზადების, ეკიპირების, მგზავრობისა და სხვა საჭირო ხარჯების დასაფარავად არც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს და არც ოლიმპიურ კომიტეტს თანხები არ გააჩნიათ. სათანადო დოკუმენტების შესაბამის სტრუქტურებში დროული წარდგენის მიუხედავად, საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში წლევანდელი და მომავალი წლის ამ უდიდეს სპორტულ ასპარეზობათა დაფინანსება გათვალისწინებული არ არის.

რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ხელმოწერებით ამ საკითხთან დაკავშირებით გაგზავნილ წერილს ადრესატამდე არ მიუღწევია.

სპორტის ხელმძღვანელები, სპორტსმენები და მწვრთნელები კარგად ვაცნობიერებთ ქვეყნის დღევანდელ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. ამიტომაც ვითხოვთ მხოლოდ აუცილებელს, რაც საჭიროა ასეთ სერიოზულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის.

წლევანდელი წელი კარგად დაიწყეს სპორტის ოლიმპიურ სახეობათა წარმომადგენლებმა — მოპოვებულია ათზე მეტი მედალი, რაც პირველ რიგში სპორტსმენებისა და მწვრთნელების, სპორტული ფედერაციებისა და სპორტის ხელმძღვანელობის დამსახურებაა. მზადების და სოციალური დაცვის ისეთ პირობებში, როგორიც ქართველ სპორტსმენებს გააჩნიათ — მსგავსი შედეგები მართლაც რომ გმირობის ტოლფასია. მაგრამ ამ შედეგებმა არ უნდა შექმნას ისეთი ილუზია, თითქოსდა ნებისმიერ პირობებში მაღალი სპორტული შედეგის ჩვენება მაინც შეიძლება. კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს — სპორტს თავისი მკაცრი კანონები აქვს.

სეოკ-ი კიდევ ერთხელ სთხოვს საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას, სახელმწიფო მინისტრს ბატონ გიორგი არსენიშვილს, სხვა ხელმძღვანელებს, ოპერატიულად აღმოუჩინონ დახმარება ქართულ სპორტს და ოლიმპიურ მოძრაობას.

ყოველკვირეული
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელის მოწერით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ხუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“

ჯირო დ'იტალია

# ვადამდელი ჩემპიონი

## სიმონის ფრიგო კარაბინერებმა მოაცილეს

**გუშინ** ვწერდით, რომ „ჯიროს" პოლიცია შეესია და დიდი ჩხრეკვაც ჩაუტარა აკრძალული ნივთიერებების აღმოსაჩენად. გუშინვე ვთქვით, რომ ამ ოპერაციის შედეგებს უახლოეს მომავალში გავიგებდით, მაგრამ თუ ასე მალე გასკდებოდა ბომბი, ძნელი წარმოსადგენი იყო.

მეცხრამეტე ეტაპის დამთავრებიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგ „ფასა ბორტოლოს" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ თავის ლიდერს და ჩემპიონობისთვის ჯილბერტო სიმონისთან მებრძოლ დარიო ფრიგოს ტურნირიდან ხსნიდა და საერთოდ შეიძლება გუნდიდანაც დავითხოვოთო.

ეს კი კარაბინერების თავდასხმამ გამოიწვია.

ფრიგოს სასტუმროს ოთახში დოპინგი ჰქონია, მისგან ხელის დაცლა ვერ მოუსწრია და გაბმულა. ჰოდა, თავისი შინაგანაწესის მიხედვით, „ფასა ბორტოლოს" თავკაცმა ჯანკარლო ფერეტიმ ფრიგო შეჯიბრიდან მოხსნა და ჯილბერტო სიმონი, ფაქტობრივად, ვადამდე გაჩემპიონდა.

სეზონის აღმოჩენა, პარიზი-ნიცას და „რომანდიის ტურის" მომგები ფრიგო



დარიო ფრიგოს დოპინგი, ალბათ, ამ ვარდისფერი მაისურის დასაბრუნებლად უნდოდა

ერთადერთი მრბოლი იყო, საერთო ჩათვლაში სიმონის დაწევა რომ შეეძლო. იგი მეტოქეს ოდენ 15 წამით ჩამორჩებოდა. თუმცა ახლა „ჯიროს" მოგებაზე ფიქრის ნაცვლად, იმაზე მოუწევს თავის მტვრევა, თუ როგორ გაიმართლოს თავი პოლიციის და სუფთა სპორტის ქომაგთა წინაშე.

ეტაპი კი საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო და პირველ საათში პელოტონმა 48 კილომეტრი გაიქროლა. დიდი სიჩქარის მიუხედავად 35-ე კილომეტრზე ალექსის როდრიგესმა და მიკელე კოპოლილომ მაინც შეძლეს შეტევის განხორციელება და დაახლოებით 110 კილომეტრიც მარტოობაში გაატარეს.

მათი ჩაყლაპვის შემდეგ სპრინტერთა გუნდებმა აღარავის დაანებეს საერთო ჯგუფიდან წინ გაჭრა და რბოლაც მილანის გარეუბანში ჯგუფური სპრინტით დასრულდა, რომელშიც უძლიერესი მარიო ჩიპოლინი გამოდგა.

34 წლის სუპერ-მარიოს წლეულს უკვე სამი ჯიროული გამარჯვება დაუგროვდა, მთლიანად კარიერაში კი მას 33-ჯერ მოუგია ამ ტურნირის ეტაპი. ამ მაჩვენებლით ჩიპოლინი მხოლოდ ლეგენდარულ „კამპიონისიმოს" ალფრედო ბინდას ჩამორჩება, ვისაც „ჯიროზე" 1926-33 წლებში 41-ჯერ გამოუჩენია თავი.

დღეს მეოცე ეტაპი გაიმართება, რომელსაც სიმონისა და ფრიგოს შორის საჩემპიონო დავა უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ ოთხშაბათს „ჯიროს" პელოტონს თავს პოლიცია დაესხა და...

**გაგი გურული**



პეპელა თუ ნამდვილი, გრეგარია თუ მთიელი, ყველა დასაჭერია...

| მეცხრამეტე ეტაპი |
| --- |
| ალბა — ბუსტო არსიძიო, 142 კმ |
| 1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) 3სთ 35წთ 04წმ |
| 2. მარკო ძანოტი (იტალია, ლიკიგასი) |
| 3. დანილო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი) |
| 4. მასიმო სტრაძერი (იტალია, მობილვეტა) |
| 5. დიმიტრი კონიშევი (რუსეთი, ფასა ბორტოლო) ყველას იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა |
| --- |
| 1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) 80სთ 54წთ 19წმ |
| 2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +4წთ 12 |
| 3. უნაი ოსა (ესპანეთი, იბანესტო) +5წთ 22 |
| 4. სერჰიი ჰონჩარი (უკრაინა, ლიკიგასი) +6წთ 10 |
| 5. ჟოზე აზევედო (პორტუგალია, ფასა ბორტოლო) +6წთ 29 |



# ედვარდსის სამხტომი და სამი რეკორდი

**ღრმად** მორწმუნე ჯონათან ედვარდსმა გუშინწინ მილანში გამართულ ტურნირზე სამხტომში სეზონის რეკორდი დაამყარა. მისი სკუპი ნაპოლეონის სადიდებლად აგებული „არენა ჩივიკას" სარბიელზე მომხდარი მთავარი მოვლენა იყო.

მილანის ტურნირი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) კალენდარში შედის, მაგრამ რომელიმე „გრან პრის" კატეგორიას არ ეკუთვნის, ჩვეულებრივი ტურნირია. წლეულს რატომღაც ადრინდელებზე ძლიერი შემადგენლობა მოგროვდა. 100 მეტრზე ირბინეს ამერიკელებმა — ბერნარდ უილიამსმა, დენის მიჩელმა და იამაიკელმა ლეველინ ბრედვუდმა; ამასთან, უილიამსმა სიმპათიური 10,08 წამით გადალახა ფინიში და არც დანარჩენები ჩამორჩნენ მაინცდამაინც.

ედვარდსის რეკორდი მესამე ცდაზე დამყარდა. სიდნეის ოლიმპიადის წინ სიდედრის დამკარგავი და მაინც ჩემპიონად ქცეული მაღალი სიჩქარით გამოქანდა და სამივე ნახტომი სრულყოფილად შეასრულა. შედეგად 17,56 მეტრი და 23 სანტიმეტრით გაუმჯობესებული უდღეური რეკორდი, რომელიც წლეულს რიგიან ფორმაში მყოფმა ფილიპს იდოვუმ ორი დღით ადრე დაამყარა. იდოვუც ედვარდსივით ბრიტანელია და კეტრინ მერიც, რომელმაც მილანში 400 მეტრი ირბინა ალმაფრენით და უახლოეს მდევარს წამზე მეტი მოუგო.



ჯონათან ედვარდსი

სხვა რეკორდები: ორმა მორბენალმა მილანში ერთად დაამხო ბოტსვანელი გლოდი დუბეს მიერ კვირის დასაწყისში, „ჰენგელოს გრან პრი 2"-ზე დამყარებული სეზონის რეკორდი. მაშინ ბოტსვანელმა 800 მეტრი 1.44,69-ში გალია და მილანშიც მხნედ გარბოდა, მაგრამ დღენთი მხოლოდ მესამე ადგილისთვის ეყო. წინ კი ცხვირპირის მტვრევით მიქროდნენ იტალიელი ანდრეა ლონგო და ალჟირელი ჯაბირ საიდ გერნი. ფინიში სიამის ტყუპებივით გადალახეს, წუთში, 44 მთელსა და 55 მეასედ წამში, მაგრამ ფოტოფინიშმა მასპინძლის სასარგებლო სურათი უჩვენა და რეკორდი ლონგოზე გაფორმდა. მხოლოდ მეოთხე იყო სახელოვანი ნოა ნგენი, რომელმაც მილანში მომავალი გრან პრის ტურნირებისთვის თუ ივარჯიშა, თორემ მისი საფირმო მანძილი 800 კი არა, 1500 მეტრია, სიდნეის ოლიმპიადის ოქრო სწორედ კილომეტრნახევარზე ერგო.

სხვა კენიელი, რიჩარდ ლიმო, მილანში ბევრად უკეთ გამოიყურებოდა. მან 5 კილომეტრი 13 წუთში, 5 მთელსა და 78 მეასედ წამში დაფარა, ამიტომ კენიელივე ზაკაიო ნგატოს მიერ „ოსაკას გრან პრიზე" ნაჩვენები 13:11,37 სეზონის რეკორდი აღარ არის.

კენიელებმა სრულად შეავსეს სტიპლჩეიზის პოდიუმი, ხოლო მარადმწვანე მეორეადგილოსანმა ფრანც კრიუგერმა (სამხრეთ აფრიკა) ვერაფრით გამოიყენა მილანში ლიტველი ვირგილიუს ალეკნას არყოფნა და ისევ მეორე ადგილზე გავიდა. ამჯერად ბადრო მასზე შორს რუსმა დმიტრი შევჩენკომ გადააგდო.

**დავით გულუა**



F1

მერვე ეტაპი — კანადის დიდი პრიზი

## ჟილ ვილნევი

მონრეალი, 10 ივნისი



| | |
| --- | --- |
| **ტრასის სიგრძე** | **4.421 კმ** |
| **რბოლის დისტანცია** | **69 წრე — 305.049 კმ** |

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 22 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ფიზიკელა (ბენეტონი); 4 ჰაკინენი (მაკლარენი); 5 ფერსტაპენი (ეროუსი); 6 ტრული (ჯორდანი)

**წრის რეკორდი:** 2000 — ჰაკინენი (მაკლარენი) 1:19.049

**ყველა გამარჯვებული**

| | | | |
| --- | --- | --- | --- |
| 1967 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | ბრებემი |
| 1968 | დენის ჰალმი | ახალი ზელანდია | მაკლარენი |
| 1969 | ჟაკი იქსი | ბელგია | ბრებემი |
| 1970 | ჟაკი იქსი | ბელგია | ფერარი |
| 1971 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1972 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1973 | პიტერ რეუსონი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1974 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1976 | ჯეიმს ჰანტი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1977 | ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | ვოლფი |
| 1978 | ჟილ ვილნევი | კანადა | ფერარი |
| 1979 | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | უილიამსი |
| 1980 | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | უილიამსი |
| 1981 | ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | ლიჟიე |
| 1982 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბრებემი |
| 1983 | რენე არნუ | საფრანგეთი | ფერარი |
| 1984 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბრებემი |
| 1985 | მიქელე ალბორეტო | იტალია | ფერარი |
| 1986 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1988 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1989 | ტიერი ბუტსენი | ბელგია | უილიამსი |
| 1990 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1991 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბენეტონი |
| 1992 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | მაკლარენი |
| 1993 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | უილიამსი |
| 1994 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1995 | ჟან ალეზი | საფრანგეთი | ფერარი |
| 1996 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1997 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1998 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1999 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |
| 2000 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |

# ძმები თუ კულჰარდი?

**კანადური** ეტაპი საფორმულო საზომით საშუალო ხნისაა — ხვალინდელი რბოლა 33-ე იქნება.

მონრეალის ტრასაზე პირველი შეჯიბრი 1978 წელს მასპინძელმა ჟილ ვილნევმა მოიგო. ავტოდრომიც, 1982 წლიდან, მისი დაღუპვის შემდეგ, კანადელი „პატარა პრინცის" სახელს ატარებს. რაც შეეხება ჟილის ვაჟიშვილს — ჟაკს, უდიდესი მონდომების მიუხედავად, მამის სახელობის ტრასაზე ერთხელაც ვერ გაუმარჯვია. ის კი არა, 1997 წლის ჩემპიონის ანგარიშზე მხოლოდ ექვსი ქულაა, საუკეთესო მაჩვენებელი — 54 ქულა კანადაში მოგებებით რეკორდსმენ მიხაელ შუმახერს აქვს. მეორეა ჟან ალეზი — 28. შემდეგ მოდიან ჯანკარლო ფიზიკელა (20), მიკა ჰაკინენი (15), რუბენს ბარიკელო (14), ედი ირვინი (12), დევიდ კულჰარდი (5).

„ჟილ ვილნევი" საშუალო სირთულის, არცთუ ჩქაროსნული ტრეკია. სიწრაფის რეკორდი, რომელიც ჰაკინენმა შარშან დაამყარა, საათში სულ რაღაც 201,4 კილომეტრია. მონრეალი საკმაოდ ჩრდილოეთით მდებარეობს, რის გამოც იქ ივნისშიც კი სიგრილე და თავსხმა ჩვეულებრივი მოვლენაა. სინოპტიკოსები ამჯერადაც ჭირვეულ, ცვალებად ამინდს ვარაუდობენ.

ხვალინდელ რბოლაში ფავორიტად, ცხადია, მიხაელ შუმახერი ითვლება, მის უმთავრეს კონკურენტებად კი — „მაკლარენები" და შუმის უმცროსი ძმა რალფი. სამგზის ჩემპიონის დამარცხების საუკეთესო შანსი წლევანდელი სეზონის ყველაზე სტაბილურ პილოტს დევიდ კულჰარდს აქვს. შოტლანდიელმა განვლილი შვიდივე რბოლა ჩასათვლელ ექვსეულში ჩაამთავრა. რალფი საკუთარ შესაძლებლობებს მოკრძალებულად აფასებს — ეს ტრასა ძრავასა და მუხრუჭებს დიდ დატვირთვას უქმნის და ექვსეულში მოხვედრითაც კმაყოფილი ვიქნებიო.




REUTERS მონტრეალი

დევიდ კულჰარდი (მარცხნივ) მიხაელ შუმახერის მთავარი მეტოქეა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

**იტალია. სერია A. 33-ე ტური**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 001 | ატლანტა-უდინეზე | 2,0 | 2,8 | 3,6 |
| 18.00 | 002 | ბარი-ინტერი | 7,0 | 4,2 | 1,35 |
| 18.00 | 003 | ბოლონია-ლეჩე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 004 | ლაციო-ფიორენტინა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 005 | მილანი-ბრეშა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 006 | ნაპოლი-რომა | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 18.00 | 007 | პარმა-ვერონა | 1,8 | 3,6 | 2,9 |
| 18.00 | 008 | პერუჯა-რეჯინა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 18.00 | 009 | ვიჩენცა-იუვენტუსი | 3,6 | 3,2 | 1,85 |

**იტალია. სერია B. 38-ე ტური**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ანკონა-ჩიტადელა | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 011 | კოზენცა-რავენა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 18.00 | 012 | ჯენოა-კალიარი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 18.00 | 013 | მონცა-პისტოიეზე | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 014 | პესკარა-სამპდორია | 3,6 | 2,7 | 1,9 |
| 18.00 | 015 | პიაჩენცა-ტრევიზო | 1,35 | 3,5 | 7,0 |
| 18.00 | 016 | სალერნიტანა-ტორინო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 18.00 | 017 | სიენა-კიევო | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 018 | ტერნანა-კროტონე | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 18.00 | 019 | ვენეცია-ემპოლი | 1,8 | 2,9 | 4,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. 37-ე ტური**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 020 | ესპანიოლი-ლას პალმასი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 24.00 | 021 | ბილბაო-სოსიედადი | 2,5 | 3,2 | 2,1 |
| 24.00 | 022 | მალაგა-რასინგი | 1,55 | 3,8 | 4,4 |
| 24.00 | 023 | ვალენსია-დეპორტივო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 24.00 | 024 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 24.00 | 025 | ოვიედო-რეალი | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 24.00 | 026 | ალავესი-მალიორკა | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 24.00 | 027 | რაიო ვალეკანო-ნუმანსია | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| 24.00 | 028 | სელტა-ვილიარეალი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 24.00 | 029 | ოსასუნა-სარაგოსა | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. 41-ე ტური**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 030 | კომპოსტელა-ხაენი | 1,6 | 3,2 | 3,6 |
| 21.00 | 031 | ბეტისი-უელვა | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 032 | ფეროლი-ლევანტე | 1,8 | 2,8 | 4,0 |
| 21.00 | 033 | ბადახოსი-ხეტაფე | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| 21.00 | 034 | ატლეტიკო-სპორტინგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 035 | კორდობა-ალბასეტე | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 21.00 | 036 | უნივერსიდადი-ლეგანესი | 2,5 | 2,6 | 2,5 |
| 21.00 | 037 | ტენერიფე-ლეიდა | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 21.00 | 038 | ესტრემადურა-სევილია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 039 | ეიბარი-სალამანკა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 040 | მურსია-ელჩე | 2,0 | 2,9 | 2,7 |

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. A ჯგუფი. მე-3 ტური**

**9 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 041 | ზვოლე-ტელსტარი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 042 | ვოლენდამი-სიტარდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. B ჯგუფი. მე-4 ტური**

**9 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 043 | კამბური-იგლსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.30 | 044 | სპარტა-ექსელსიორი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**პოლონეთი. 29-ე ტური**

**9 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 045 | ზაგლებე-პლოცკი | 1,7 | 3,6 | 2,4 |
| 20.00 | 046 | ოდრა-ამიცა | 1,6 | 3,4 | 3,4 |
| 20.00 | 047 | რაძიონკოვი-რუხი | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 20.00 | 048 | პოგონი-პოლონია | 1,65 | 3,3 | 4,4 |
| 20.00 | 049 | ვიძევი-კატოვიცე | 1,55 | 3,3 | 4,7 |
| 20.00 | 050 | გროცლინი-შლიონსკი | 2,1 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 051 | ლეგია-ვისლა | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 052 | გურნიკი-სტომილი | 1,6 | 3,2 | 4,4 |

**რუსეთი. მე-12 ტური**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 053 | ჩერნომორეცი-ანჟი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 16.00 | 054 | სპარტაკი-ალანია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 16.00 | 055 | როტორი-ტორპედო | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 16.00 | 056 | ზილ-დინამო | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| 16.00 | 057 | სატურნი-ფაკელი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 16.00 | 058 | სოკოლი-ლოკომოტივი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 059 | როსტსელმაში-კრილია | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**11 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 060 | ცსკა-ზენიტი | 1,8 | 2,9 | 4,0 |

**დანია. 32-ე ტური**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 061 | ორჰუსი-ოლბორგი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 062 | ჰერფიოლგე-აკადემისკი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 18.00 | 063 | მიდტიულანდი-ჰადერსლევი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 18.00 | 064 | ლიუნგბიუ-ოდენსე | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 18.00 | 065 | კოპენჰაგენი-ბრონდბიუ | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 066 | ვიბორგი-სილკებორგი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**შვედეთი. მე-9 ტური**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 067 | სუნდსვალი-ელფსბორგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 20.00 | 068 | ჰალმსტადი-იორგრიტე | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 20.00 | 069 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2,1 | 3,0 | 3,3 |

**11 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 070 | გიოტებორგი-ჰაკენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 071 | ნორჩიოპინგი-იორებრო | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.00 | 072 | ტრელებორგი-მალმიო | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**ნორვეგია. მე-10 ტური**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 073 | ბრანი-ბოდიო გლიმტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 074 | ლილესტრიომი-მოლდე | 2,2 | 3,3 | 2,8 |
| 21.00 | 075 | ლინი-რუსენბორგი | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 21.00 | 076 | ოდ გრენლანდი-მოსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 21.00 | 077 | სოგნდალი-ტრომსიო | 2,1 | 3,4 | 2,9 |
| 21.00 | 078 | სტრიომგოდსეტი-ბრინი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 23.05 | 079 | სტაბეკი-ვიკინგი | 2,2 | 3,3 | 2,8 |

**ფინეთი. მე-11 ტური**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 080 | ატლანტისი-იოკერიტი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.00 | 081 | ტამპერე-ჰიკ | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 18.00 | 082 | კუოპიო-როვანიემი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 20.00 | 083 | ვაასა-ჰაკა | 3,0 | 3,1 | 2,0 |

**11 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 084 | ინტერი-მიუპა | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**პორტუგალია. თასის ფინალი (ლისაბონში)**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 085 | პორტუ-მარიტიმუ | 1,45 | 3,6 | 6,5 |

**შვეიცარია. თასის ფინალი (ბაზელში)**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 086 | სერვეტი-ივერდონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**კონფედერაციათა თასი. ფინალი**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 501 | იაპონია-საფრანგეთი | 4,0 | 3,2 | 1,75 |

**კალათბურთი. ფინალი**

**10 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 802 | ფილადელფია-ლეიკერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. ფინალი**

**9 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 901 | კოლორადო-ნიუ ჯერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

**თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

**ქუთაისი** — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

**გორში** — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

**თელავში** — კოსტავას ქუჩა №23.

**რუსთავში** — შარტავას ქუჩა №7

**ოზურგეთში** — გურიის ქუჩა №23

**ბათუმში** — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

**ქობულეთში** — ალმაშენებლის ქუჩა №106

**მარნეულში** — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სარბიელი
სპორტული
ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# მარე ნოსტრუმის ტალღამ კანსაც გადაუარა



ალექსანდრ პოპოვი

**ბარსელონაში** მარე ნოსტრუმის პირველი ეტაპის გასრულების შემდეგ მოცურავეთა ნაკადმა საფრანგეთის კანში გადაინაცვლა. ამჯერად, პირველი ეტაპისგან განსხვავებით, კანში ბევრად მეტმა ვარსკვლავმა მოიყარა თავი. შესაბამისად დაძაბულობამაც იმატა, თუმც ტურნირის ძირითად ინტრიგად ყველას თავისუფალი სტილით ვაჟთა 100-მეტრიან მანძილზე გაცურვა მიაჩნდა. საქმე ისაა, რომ აქ ერთმანეთის პირისპირ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, „ცარად“ წოდებული რუსი ალექსანდრ პოპოვი და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი 200 და 400 მეტრზე „თავისუფალში“ ავსტრალიელი „ბიჭი-ფენომენი“ იან ტორპი უნდა წარმდგარიყვნენ. დუელი შედგა, თუმცა პირობითად თუ შეგვიძლია, ამას დუელი ვუწოდოთ, რადგან...

რუსი მოცურავე ალექსანდრ პოპოვი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აუზის კიდესთან პირველი აღმოჩნდა (49, 75) ავსტრალიელი „ტორპედო“ კი საპრიზოს მიღმა დარჩა. მეტიც იგი მხოლოდ მეხუთე იყო. თუმც ასპარეზობის დაწყებამდე ტორპმა განაცხადა, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი, რათა ამ დისციპლინაშიც მიაღწიოს წარმატებას.

„სხვებისგან განსხვავებით, მე საკუთარ თავს მსოფლიოს საუკეთესო მოცურავედ არ მივიჩნევ, რადგან ბევრი რამ კიდევ დასამტკიცებელი მაქვს, განსაკუთრებით 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში“ — განაცხადა ტორპმა.

სხვათა შორის, ავსტრალიელს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ 200, 400 და 800 მეტრიან მანძილებთან ერთად კროლში სპრინტერული 100 მეტრის შეტანაც სურს თავის საფირმო დისციპლინებში. არც იმას უარყოფს, რომ პოპოვამდე ბევრი უკლია. „ამჟამად მე ძალიან ჩამოვრჩები პოპოვს“ — ალალია ტორპი. „ცართან“ ნაწვნევი მარცხის შემდეგ ავსტრალიელმა მოცურავემ თავის საფირმო 400 მეტრზე, შეიძლება ითქვას, გაინავარდა — 3.51,47. არცაა გასაკვირი, მას ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ტიტულის დაცვა სურს. ამასთანავე იაპონიაში სარეკორდო შვიდი ოქროს მოპოვებაც განუზრახავს.

ასპარეზობის მეორე დღეს პოპოვსა და ტორპს ერთმანეთისთვის ხელი აღარ შეუშლიათ. ორივემ თავიანთ საფირმო დისციპლინებში გაიმარჯვეს. თუმცა, შეიძლებოდა მსოფლიოს რეკორდის მოწმენიც გავმხდარიყავით. ტორპი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ახლოს იყო მის მიერვე მარტში ჰობარტში ავსტრალიის ჩემპიონატზე ნაჩვენებ მსოფლიოს საუკეთესო შედეგთან (1.44,69). იგი სულ რაღაც 0,28 მეასედი წამით ჩამორჩა იმ მიღწევას, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რათა ჩემპიონობა მოეპოვებინა და პლანეტის მეორე საუკეთესო შედეგი ეჩვენებინა — 1.44,97.

„რაკი აქ, ევროპაში ვარ, ვიმედოვნებ, რომ რომსა და მონაკოში უკეთ გავცურავ. მართალია, მსოფლიოს რეკორდისთვის პრიზად დაწესებული ავტომობილი კარგი სტიმული იყო, მაგრამ ასეთ შედეგს მცირედით ავცდი“ — თქვა 18 წლის ოზმა.

სხვათა შორის, ტორპთან ერთად იმავე დისციპლინაში საპრიზო ადგილები დაიკავეს მისმა თანამემამულეებმა უილიამ კირბმა (1.49,64) და ენტონი მატკოვიჩმა (1.49,70).

ოზის დარად მეტოქეები უკან მოიტოვა პოპოვმაც. 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობისას რუსმა 22,18 აჩვენა, რაც მისივე მსოფლიოს რეკორდს საკმაოდ ჩამორჩება (21,64).

მარე ნოსტრუმის წყალში სიდნეის ოლიმპიური თამაშების კიდევ ერთი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონიც ვიხილეთ. ჰოლანდიელმა ინგე დე ბრუინმა, რომელიც ტურნირის პირველ ეტაპს ეროვნული ჩემპიონატის გამო გამოაკლდა 100 მეტრზე კროლით ცურვაში წლის მეორე საუკეთესო შედეგი — 54,62 უჩვენა და ჩემპიონობაც მოიპოვა. მერე სპრინტერული მანძილების სხვა დისციპლინებსაც შეუტია. თავდაპირველად „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ უმოკლეს მანძილზე, 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობისას გაიმარჯვა (24,85), მერე კი — 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში (58,78).

ამრიგად, ინგე დე ბრუინმა სიდნეის ოლიმპიური თამაშების წარმატება გაიმეორა. სიდნეიში მან ხომ სწორედ ამ დისციპლინებში მოიპოვა ჩემპიონობა.

ახლა მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებამდე რამდენიმე კვირით ადრე კი დე ბრუინი საგონებელშია, რადგან ვერ გადაუწყვეტია, თუ რომელ დისციპლინაში იასპარეზოს ფუკუოკაში.

„კვლავაც არ ვიცი, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რომელი მანძილი შევარჩიო. მე ყველა მათგანი მომწონს. საჩოთირო იქნება რომელიმეს შერჩევა“ — დაბნეულია 50 და 100 მეტრზე ბატერფლაისა და თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს რეკორდების მფლობელი ჰოლანდიელი.

სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში პირველად შეიტანეს 50 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობა.

ჩემპიონი გახდა უკრაინელი იანა კლოჩკოვაც. მან, კანშიც, ისევე როგორც ბარსელონას პირველ ეტაპზე, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვა, თანაც წლის საუკეთესო დროც უჩვენა — 4.41,04. მერე ამას 200 მეტრზე იმავე დისციპლინის ჩემპიონობაც დაურთო 2.14,75 წლის საუკეთესო დროში იმარჯვა კოსტარიკელმა კლაუდია პოლმაც. მან 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კლოჩკოვას დარად ჩემპიონობა მოიპოვა — 4.08,91. შემდეგ კი ასეთივე წარმატებას 200 მეტრზეც მიაღწია — 1.59,37.

**გიგა გურასპაშვილი**



NHL. სტენლის თასი. ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# მეშვიდე მატჩი და თასი

7 ივნისი

| | |
|---|---|
| კოლორადო | 3 |
| ნიუ ჯერსი | 3 |

**ნიუ ჯერსი 0:4 კოლორადო (0:1 0:2 0:1)**

**0:1 ფუტი 19(3), 0:2 ნიემინენი 23(4), დრური 39(11), 0:4 ტანგეი 54(4)**

**ნიუ ჯერსი: ბროდო; სტივენსი, დანეიკო, ელიაში, არნოტი, სიკორა; ნიდერმაიერი, რაფალსკი, ნემჩიკოვი, ჰოლიკი, კორკამი; უაიტი, ოდონელი, მოგილნი, გომესი, ბრილინი; პანდოლფო, მედენი, სტივენსონი**

**კოლორადო: რუა; ბლეიკი, დევრიზი, ჰეიდუკი, საკიკი, ტანგეი; ბურკი, ფუტი, ნიემინენი, დრური ჰაინოტი; სკოულა, კლემი, პოდეინი, იელი, მესიე; დინგმანი, რაინპრეხტი, რიდი**

როგორც მაყურებელთა და სპეციალისტთა უმრავლესობა ვარაუდობდა, ამ უაღრესად საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლის ბედი მაინც მეშვიდე თამაშში გადაწყდება. კოლორადოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ერთობ საიმედოდ და ორგანიზებულად ჩაატარეს მეექვსე თამაში და მოიპოვეს კიდეც გამარჯვება, თანაც საამისოდ დიდი ძალისხმევა და ოფლის ღვრა არ დასჭირდათ, რაც მათი მეტოქის დამსახურებაა. აგერ უკვე მერამდენედ გახდნენ „ეშმაკები“ თავიანთი გულუბრყვილობისა თუ კეთილგანწყობის მსხვერპლი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს თამაში კოლორადომ კი არ მოიგო, ნიუ ჯერსიმ წააგო. ეგებ ვცოდავთ, ამას რომ ვამბობთ, მაგრამ მთელი 60 წუთის განმავლობაში ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ნიუ ჯერსისაც მეტოქეზე არანაკლებ სურდა, სერიისა და თასის ბედი მეშვიდე მატჩში გადაწყვეტილიყო. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ნიუ ჯერსიმ განზრახ წააგო, მაგრამ სხვა რითი აიხსნება ის, რომ „ეშმაკებმა“ ესოდენ ბრწყინვალე შანსი ასე უაზროდ გაფლანგეს. განა მათთვის უფრო სასიამოვნო არ იქნებოდა, თასის შინ, საკუთარი ქომაგების თვალწინ მოგება და ამ ტრიუმფის აღნიშვნა. თუმც ნიუ ჯერსიმ ისე გულგრილად ჩაატარა თამაში, თითქოს იგი რეგულარული ჩემპიონატის სრულიად უმნიშვნელო, ან სულაც სავარჯიშო შეხვედრა ყოფილიყო. ახლა მათ დენვერში გამგზავრება მოუწევთ. თასის ისტორიაში სულ 10 მეშვიდე მატჩი შედგა აქამდე ფინალში, აქედან 8 მასპინძლებმა მოიგეს. ისე, წლეულს პლეი ოფში ნიუ ჯერსი სტუმრად გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ. შარშანაც ხომ თასი სტუმრად, დალასში მეექვსე მატჩში მოიპოვა.

და მაინც რა მოხდა ისეთი, რის გამოც თავს უფლება მივეცით, ნიუ ჯერსი ასე გაგვეკრიტიკებინა?

დავიწყოთ თავიდან: პირველ პერიოდში ნიუ ჯერსი, რომელსაც ტრავმირებული ჯეისონ არნოტი დაუბრუნდა, აშკარა უპირატესობას ფლობდა. ერთი წუთიც არ გასულიყო მატჩის დაწყებიდან, რომ პეტერ სიკორას ანგარიშის გახსნა შეეძლო, შემდეგ კი ბობი ჰოლიკმა ააცილა კარს ორი მეტრიდან (!). მე-6 წუთიდან დაწყებული ლამის 8 წუთის განმავლობაში გუნდები არათანაბარი შემადგენლობით იყვნენ. 4 ჯარიმიდან სამი კოლორადოელებმა მიიღეს და სამივე შემთხვევაში ეს სათამაშო სიტუაციით იყო განპირობებული. ესეც მასპინძელთა უპირატესობაზე მეტყველებს. რიცხვმრავლობაში ნიუ ჯერსი სახიფათოდ უტევდა და ზოგი იტყვის, ბედი არ სწყალობდაო, მაგრამ გუნდი, რომელიც თასზე პრეტენზიას აცხადებს, ასეთ მომენტებს ქარს არ უნდა ატანდეს. თუნდაც პატრიკ ელიაში ავიღოთ, იგი ლამის 2-3 წამის განმავლობაში კარის წინ უმეთვალყუროდ იდგა და პატრიკ რუას მოტყუება ვერ შეძლო. როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება, ნიუ ჯერსი დაისაჯა, თანაც გოლის მომენტში (ფაქტობრივად ეს კოლორადოს პირველი საგოლე შანსი გახდა) აშკარად სკოტ გომესი შეცდა, რომელმაც შაიბა პირდაპირ ადამ ფუტს უბოძა. კოლორადოს მცველსაც დიდხანს არ უფიქრია, როგორც კი ზონაში შეიჭრა, გაისროლა, მანამდე უსაქმოდ მყოფმა მარტინ ბროდომ კი რეაგირება დააყოვნა.

REUTERS-ის ფოტოარქივიდან



რეი ბურკე ნიუ ჯერსის მეკარე მარტინ ბროდოს გადაახტა

მეორე პერიოდის დასაწყისში ნიუ ჯერსიმ კიდევ ერთი გოლი აჩუქა მეტოქეს. დან ჰაინოტთან შეჯახებულმა ბობი ჰოლიკმა რატომღაც წაქცეულ მეტოქესთან გამკლავება მოინდომა და გუნდი უმცირესობაში დატოვა. თავდაპირველად თითქოს გადარჩა ნიუ ჯერსი, როდესაც მილან ჰეიდუკის დარტყმა ბროდომ ძლივს მოიგერია, მაგრამ როდესაც ჰაიდუკი უკვე ყინულზე გამოსვლას აპირებდა, მარტინ სკოულას ნაკლებად სახიფათო დარტყმა გოლით დაგვირგვინდა, ვინაიდან გზად შაიბა ჯერ ვილე ნიემინენს, შემდეგ კი ნიუჯერსელთა მცველ კოლინ უაიტს შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის დასრულებამდე უამრავი დრო რჩებოდა, ნიუ ჯერსიმ აშკარად ყურები ჩამოყარა.

მართალია, გომესის (მას ძალიან სურდა, შეცდომა გამოესყიდა) და ალექსანდრ მოგილნის დუეტი, ნაწილობრივ ჯონ მედენის სამეულიც, ცდილობდა თამაშში გარდატეხის შეტანას, მაგრამ რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა, მით უაზრო და ქაოტური ხდებოდა მასპინძელთა შეტევები. არნოტი კი ტრავმის გამო აშკარად ვერ იყო გუნებაზე და ამის გამო საერთოდ არ ჩანდა პირველი სამეული. როდესაც კრის დრურმა სხვაობა სამამდე გაზარდა (აქაც შაიბის უაიტის ციგურებიდან ასხლეტამ უშველა სტუმრებს), ნათელი გახდა, რომ ნიუ ჯერსი იმ დღეს თამაშს ვერ გადაარჩენდა, მით უმეტეს, რომ მესამე პერიოდის საწყის წუთებში მასპინძლებმა ვერ მოახერხეს სწრაფი გოლის გატანა.

ერთადერთი, რამაც ტრიბუნაზე დარჩენილი მაყურებლები გამოაცოცხლა (მესამე პერიოდში გაწბილებულმა ქომაგებმა გასასვლელს მიაშურეს), კენ დანეიკოს და კრის დინგმანის ჩხუბი იყო, რომელშიც გამოცდილმა „ეშმაკმა“ საჭიდაო ილეთით დააწვინა მეტოქე.

ამრიგად, კოლორადო გადარჩა, პატრიკ რუამ კი მე-19 საპლეიოფო შატაუტი მიითვალა, ჩვენ კი 1994 წლის შემდეგ პირველად გავხდებით ფინალში მეშვიდე თამაშის მოწმენი.

„განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ასეთი რამ მთელი სეზონის განმავლობაში გვემართებოდა დროდადრო“ — იხტიბარს არ იტეხდა ჯონ მედენი მატჩის შემდეგ, ჰოლიკმა კი მთავარ მიზეზად პატრიკ რუას საუცხოო თამაში მიიჩნია, რომ არა რუა, პირველ პერიოდში 4:0 ან 5:0 დავწინაურდებოდითო.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროა, მარტინა გადადგეს



REUTERS

ჯენიფერ კაპრიატი ფინალში გავიდა

ნახევარფინალი

ქალები

**ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:4, 6:3**

მარტინა ჰინგისი ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, კარგა ხანია, კლასიფიკაციაშიც პირველი ადგილი უკავია, მაგრამ მისი დღეები ჩოგბურთის დედოფლის პოსტზე დათვლილია — თამაშის ასეთი სტილითა და შერყეული თავდაჯერებით WTA ტურის კუნთდაბერილი და აგრესიული კოლეგების წინააღმდეგ შორს ვეღარ გაფრინდები.

ყველაზე მთავარი, ალბათ, რომ საკუთარი ძალების რწმენის დაკარგვაა. მარტინა კორტზე ჯერაც ყველაზე მეტს და სწრაფად ფიქრობს, მაგრამ ბოლო ხანებში ბადის მეორე მხრიდან ტყვიასავით დარტყმების შიში მნიშვნელოვან მატჩებში ტვინს უყინავს: „კლასიფიიკაციით დაბალ მეტოქეების მიმართ დამოკიდებულება არ შემცვლია, მაგრამ როდესაც ისეთ ჩოგბურთელს ეთამაშები, როგორიც უილიამსები და ჯენიფერია, რომელთანაც უკვე ზედიზედ მესამედ წავაგე, წინანდელთან შედარებით უფრო მიჭირს. მათ როგორღაც მეტი მოწიწებით ვუყურებ".

კარიერის დასაწყისში მარტინასგან ასეთ კომენტარს ნამდვილად ვერ გაიგონებდით. ნახევარფინალში კაპრიატისთან დამარცხების შემდეგ შვეიცარიელმა კიდევ ერთი ისეთი რამ აღიარა, რასაც თუნდაც შარშან მარწუხებით ვერ ამოგლეჯდით პირიდან: „შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ჯენიფერია. მან ავსტრალიის ღია პირველობაზე იმარჯვა, იქაც დამამარცხა, უილიამსებსაც მოუგო, აქ ფინალში გავიდა. ამ წუთისთვის ის ყველაზე სტაბილური და ძლიერი მოთამაშეა ტურზე".

მარტინას სიტყვებში ხუთშაბათს როლან გაროსის ნაადრევი ფინალის ხილვითაც დარწმუნდებოდით. კაპრიატიმ, რომელმაც 11 წლის წინ სწორედ ამ ეტაპზე, თავისივე აღიარებით, მონიკა სელეშმა „მოაკეტინა", ამჯერად თავისი ადგილი მიუჩინა მეტოქეს.

25 წლის ამერიკელმა მატჩი უხეიროდ, საკუთარი მოწოდების დაკარგვით დაიწყო, მაგრამ თავიდანვე შიშ-კანკალით მოთამაშე ჰინგისს მერე ზედიზედ ოთხი გეიმი მოუგო. აქ კაპრიატის და მის ქომაგებს ყველაზე უსიამოვნო წუთები დაუდგათ — მელბურნის ტრიუმფატორმა მოულოდნელად კორტზე ექიმს უხმო და ორივე მუხლის წამლობა სთხოვა: „ტკივილი უცებ არ მიგრძვნია, უკვე ორი კვირაა, მუხლები მაწუხებს, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. დროზე უნდა მივმხვდარიყავი, რომ მყესების ანთება მეწყებოდა. არა უშავს, აქ კარგი ექიმები არიან და წესით მეტად არ უნდა გამაწვალოს. მასაჟის მერე სწრაფად გავხურდი, დაძაბულობამ კი ტკივილი მალე საერთოდ დამავიწყა".

ჰინგისმა კარგად ისარგებლა მეტოქის პრობლემებით და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა კაპრიატიმ მეტის საშუალება აღარ მისცა და პირველი სეტის ბოლო ორი გეიმი რისკიანი დარტყმებით გამოსტაცა შვეიცარიელს. იგივე სცენარი მეორდებოდა მთელი დარჩენილი დროის მანძილზე: მარტინა ალაგ-ალაგ ხეირიანად ირჯებოდა, თითქმის ცოტაც და მატჩში გარდატეხას შეიტანდა, მაგრამ მნიშვნელოვან მომენტებში პასიურობდა და მეტოქის შეცდომებს ელოდა, კაპრიატი კი ერთიმეორის მიყოლებით აუღებელი დარტყმებით იძვრენდა თავს გასაჭირიდან.

შანსების გამოუყენებლობა ჰინგისს ყველაზე ძვირად მეორე ხელში, 3:3-ზე დაუჯდა. ჯერ მეტოქის, მერე კი საკუთარ მოწოდებაზე შვეიცარიელმა 40:0-იანი უპირატესობა ქარს გაატანა, მის წინააღმდეგ დაგეშილ პარიზელებს ჩოგნის დაგდებითა და შეკივლებით სტვენის შესანიშნავი საბაბი მისცა და ფაქტობრივად ცხვირიც ჩამოუშვა.

კაპრიატის, რომელსაც დაძაბული მატჩების დასასრულს ნერვიულობისგან კრუნჩხვებს ცოტა უკლდა, ბოლო გეიმში ჰინგისის ხელშეწყობით ერთი ქულაც არ წაუგია.

„რას მეუბნებით, მშვიდად კი არა, პირიქით, საოცრად აღგზნებული ვარ. მინდა, ხმის ჩახლეჩამდე ვიყვირო და სიხარულისგან ვიხტუნო. ძალიან ვამაყობ საკუთარი თავით, რომ აქამდე მივაღწიე, ისევ ფინალში ვარ. ორი-სამი წლის წინ ჩემზე გახვრეტილ გროშსაც არავინ დადებდა — განაცხადა ბედნიერმა გამარჯვებულმა — ჩვენ, პროფესიონალი სპორტსმენები სწორედ ასეთი მომენტებისთვის ვცხოვრობთ, გიგანტურ სტადიონზე ამდენი კაცის წინ სათამაშოდ, აქ ზეწოლაც კი სასიამოვნოა".

ჰინგისს, რომელსაც 1999-ის ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ „მეიჯორი" არ მოუგია და როგორც ეტყობა, უახლოეს ხანებშიც ვერ შეძლებს ამის გაკეთებას, ქების სიტყვები არ დაუშურებია მეტოქისთვის: „ის ამჟამად ჩოგბურთისთვის ცხოვრობს, წარსულში კი ყოველთვის ასე, არ ყოფილა. სპორტი ახლა მისთვის ყველაფერს ნიშნავს და ეს კორტზეც შესამჩნევია. ყველამ ვიცოდით, რომ ჯენიფერს ფანტასტიკურად შეეძლო თამაში, ის ფიზიკურადაც ძლიერი გოგოა და ბოლო ხანებში რწმენაც დაუბრუნდა".

თუ წარსულში კაპრიატის ბევრი ვარჯიში გულზე არ ეხატებოდა, დღეისთვის ამ მხრივაც ყველაფერი შეიცვალა: „მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ შეიძლება ამისგან სიამოვნებაც კი მიიღო. ამის გარდა ბევრი შრომის შედეგად წონას ვიკლებ და გარეგნულად უკეთ გამოვიყურები. ჩვენთვის, ქალებისთვის ესეც არანაკლებ სტიმულია. როდესაც თავადაც დარწმუნდები, თუ რა შედეგები მოაქვს ვარჯიშს, მერე ეს ერთი-ორად გაგიიოლდება".

კიმ კლაისტერის წინააღმდეგ ფინალში დღეს ჯენიფერი უდავო ფავორიტად უნდა ჩაითვალოს, მერე კი ვინ იცის, იქნებ დიდი სლემიც რეალურ ამოცანად გადაიქცეს.

ნახევარფინალი

ვაჟები

**გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) 6:4, 6:4, 6:3**

კაპრიატი-ჰინგისის არ იყოს, კუერტენ-ფერეროს შეხვედრასაც ბევრი მიიჩნევდა „ფინალად ფინალამდე". ორივეს წლეულს სამ-სამი ტურნირი მოეგო თიხნარზე და ნელ საფარზე ყველა მეტოქეს ერთი თავით ჯობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებულის გამოვლენას სულ სამი ხელი დასჭირდა, 2 საათ და 10 წუთიანი მატჩი ხარისხით უდავოდ საუკეთესო იყო ამ როლან გაროსზე და დაძაბულობითაც ერთ-ორს თუ ჩამოუვარდებოდა.

„მოსკიტოდ" წოდებული ესპანელი მძლავრ დარტყმებსა და საოცარ ტემპში მიმდინარე ხანგრძლივ გათამაშებებში „გუგას" არაფრით ჩამოუვარდებოდა, სამაგიეროდ მაშინ, როდესაც სასწორზე მატჩის ბედი იდო, მსოფლიოს პირველი ჩოგნის თავდაჯერებასა და აუღელვებლობამდე ძალიან ბევრი უკლდა.

თუ კუერტენი საუკეთესო ბექჰენდებსა და დროულ შემოკლებულებს ყველაზე საჭირო მომენტებისთვის, ბრეიკპოინტების გადასარჩენად ინახავდა, ფერეროს ყოველი სეტის ბოლოს ღალატობდა ნერვები და საკუთარი მოწოდების დაკარგვით თავად იჭრიდა ყელს.

„უცნაური შეხვედრა იყო, ბოლომდე ვიბრძოლე, თითქოს ხეირიანად ვთამაშობდი, მაგრამ შედეგს თუ შეხედავ, ამას ვერაფრით იფიქრებ. აქ ჩოგბურთი არაფერ შუაში იყო, უფრო მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მზადყოფნა გამოდგა" — მართებულად შენიშნა იმედგაცრუებულმა ესპანელმა.

რაც შეეხება კუერტენს, მან ზედიზედ მეორედ გააღწია საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში და თუ კვირასაც ასეთივე დონეზე ითამაშებს, მესამე ტიტული ვერსად გაექცევა: „ყოველი წელი განსხვავებულია, წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება. იქნებ არ მეტყობოდა, მაგრამ შარშან მეტად ვნერვიულობდი, ახლა კი მზად ვარ მორიგი ფინალით დასატკბობად."

**ალექს კორეჩა (14, ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) 7:6 (7:2), 6:4, 6:4.**

1983-ში იანიკ ნოას ტრიუმფის შემდეგ როლან გაროსი არც ერთ ძლიერი სქესის წარმომადგენელ ფრანგს არ მოუგია და მორიგ ტიტულამდე მასპინძლებს მინიმუმ ერთი წლით დაცდა კიდევ მოუწევთ. მთელი ქვეყნის იმედების მხრებით ზიდვა ამჯერად ანდრე აგასის მძლეველ სებასტიან გროჟანისთვის აღმოჩნდა წელში გამტეხავი ტვირთი.

ესპანელმა ალექს კორეჩამ აუჩქარებელი, სტაბილური გარჯითა და ზუსტი კონტრშეტევებით ჩია ფრანგის აბჯარში უამრავი ხვრელი იპოვა, აგასისგან განსხვავებით, მეტოქის ტყვიასავით ფორჰენდის მორჯულებაც მოახერხა და ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო სეტის წაუგებლად.

„გუსტავოსთან თიხნარზე გაჯიბრება ყოველთვის საოცრად ძნელია, მაგრამ დიდი სლემის ტიტულს ისე არავინ გაჩუქებს. სეზონის დასაწყისში დასვენების შემდეგ თავს ფიზიკურად ძალიან ძლიერად ვგრძნობ, საუკეთესო ფორმაც სწორედ როლან გაროსისთვის აღვიდგინე, ასე რომ, ვნახოთ" — განაცხადა ესპანელმა, რომელმაც 1998 წლის ფინალში თანამემამულე კარლოს მოიასთან წააგო.

**ავთანდილ სვანიძე**

## ტაი-ბრეიკი

# კრიმინალური დუეტი

**ოთხშაბათს** ჩოგბურთის ყოფილ ვარსკვლავებმა, პეტერ კორდამ და კარელ ნოვაჩეკმა, კარგა ხნის წინ გვერდზე გადადებული ჩოგნები ისევ მოიმარჯვეს და ყველასდა გასაოცრად, წყვილებში ერთად ითამაშეს. ასაკოვანმა ჩეხებმა მშობლიურ პროსტეჯოვში მოკრძალებულ, 100-ათასიან ტურნირზე იასპარეზეს და პირველივე წრეში თანამემამულეებთან — მიხალ ტაბარასა და რადეკ სტეპანეკთან წააგეს 6:7 (4:7), 2:6.

„უკვე ექვსი თვეა, ჩოგანი ხელში არ მჭერია — თავი იმართლა შესანიშნავ გუნებაზე მყოფმა კორდამ, 1998-ის ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა — მე და კარელმა აქ თამაში უცებ გადავწყვიტეთ და ძალიან გაგვიხარდა, ორგანიზატორებმა უაილდ ქარდი რომ არ დაგვამადლეს."

კორდასა და ნოვაჩეკის ასე შეწყვილება საინტერესო იმითაცაა, რომ თავის დროზე ორივენი აკრძალული ნივთიერების ხმარებაში გამოიჭირეს, ორივენი თავიანთ უდანაშაულობას ამტკიცებდნენ და ვადაზე ადრე გამოეთხოვნენ დიდ სპორტს. კორდას 1998-ის უიმბლდონზე შარდში ნონდროლონი აღმოუჩინეს და ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რის შემდეგაც ერთადერთი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა.

36 წლის ნოვაჩეკი, რომელიც მსოფლიოს მერვე ჩოგანი გახლდათ და კარიერაში 13 ტიტული მოუპოვებია, 1995-ის როლან გაროსზე სულაც კოკაინზე ჩავარდა და სპორტიდან სამი თვით მოკვეთის მერე 1996 წელს პენსიაზე გავიდა. ნოვაჩეკი ამჟამად ფლორიდაში ერთ-ერთ საბროკერო ფირმაში კონსულტანტად მუშაობს.

# უცნაური კომპანია



REUTERS

ალექს კორეჩა პრეზიდენტის დაცვას არ შეუწუხებია

**ოთხშაბათს** ბილ კლინტონის როლან გაროსზე მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ ჩოგბურთელები წინასწარ არ გაუფრთხილებიათ, მაგრამ ესპანელი ალექს კორეჩასთვის ეს დიდ სიურპრიზად ნამდვილად არ ქცეულა.

„დილიდანვე მივხვდი, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა და ვინმე ძალიან მნიშვნელოვანი, არაჩოგბურთელი სტუმარი გვეყოლებოდა. ჩვეულებრივ, გასახდელში შესვლის დროს იქ სმოკინგში გამოწყობილი ხალხი არ გხვდება, რომლებიც ამასთან სანაგვე ყუთებში იქექებიან" — აღნიშნა ესპანელმა.

ანდრე აგასისგან განსხვავებით, რომლისთვისაც ექსპრეზიდენტს სტუმრობა კატასტროფულად დასრულდა, კორეჩას კლინტონის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია: „კარგია, როდესაც ასეთი ცნობილი პიროვნებები ჩოგბურთით არიან გატაცებულნი. კლინტონი ძალიან მომწონს, ის მომხიბლავი ადამიანია."

# ჩილე შეიწყალეს

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) ერთი წლით შეამცირა დისკვალიფიკაცია, რომლის გამოც ჩილეს დევისის თასის გუნდს მატჩების სტუმრად გამართვა უხდებოდა. ახლა სამხრეთამერიკელებს სტუმართმოყვარეობის გამოჩენა უკვე 2003 წლიდან კი არა, გაისიდან შეეძლებათ.

ჩილე ჩოგბურთის მამებმა 2000 წლის აპრილში არგენტინელების მასპინძლობისას მომხდარი ინციდენტის შემდეგ შერისხეს. მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მაყურებლებმა მაშინ კორტი პლასტმასის სკამებითა და პროდუქტებით დასეტყვეს, არგენტინელებმა მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადეს და სტადიონიდან პოლიციის გაძლიერებული ესკორტითღა გააღწიეს.

„ITF ჯერაც აღშფოთებულია იმ ფაქტების გამო, რამაც სანქციის დაწესება გამოიწვია. გათამაშების წესებისა და კანონების დარღვევა ძველებურად მიუღებელია ჩვენთვის —, აღნიშნა ITF-ის პრეზიდენტმა ფრანჩესკო რიჩი ბიტიმ — მაგრამ გავითვალისწინეთ პროგრესი, რომელსაც ჩილეს ფედერაციამ ბოლო ხანებში მიაღწია და მივიჩნევთ, რომ მათ საკმარისი ზომები მიიღეს სამომავლოდ მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად."

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს არგენტინელებმაც, რომლებიც რამდენიმე თვის წინ სანტიაგოში საჩვენებელი მატჩის ჩასატარებლად და წყენის დასავიწყებლად იყვნენ ჩასულნი.

# ტურნირი გუგასთვის

**როგორც** იქნა, ბრაზილიელებს მსოფლიოს პირველი ჩოგნის გარდა ATP-ის საკუთარი ტურნირიც ეღირსათ. რვაწლიანი შესვენების შემდეგ აქ 10-16 სექტემბერს, ზედ აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ „ლათინური ამერიკის საჩოგბურთო ჩემპიონატი" ჩატარდება. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა გასარკვევი, მას რიო დე ჟანეირო უმასპინძლებს თუ სან პაულო.

„მოხარულნი ვართ, რომ სტრატეგიულად ისეთ მნიშვნელოვან ქვეყანაში ვბრუნდებით, როგორიც ბრაზილიაა. ამ რეგიონში ჩოგბურთის პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება და დარწმუნებული ვართ, ტურნირს დიდი წარმატება ელის" — აღნიშნა ATP-ის თავკაცმა მარკ მაილსმა. ახალი პირველობა კალენდარში ინგლისური ბრაიტონის „სამსუნგ ოუფენის" ადგილს დაიკავებს.

როგორც იქნა, აუხდა ოცნება როლან გაროსის ორგზის ჩემპიონს, კლასიფიკაციით პირველ გუსტავო კუერტენს, რომელიც წლების მანძილზე უშედეგოდ სთხოვდა ეროვნულ ფედერაციას, თავისიანების წინაშე ასპარეზობის შესაძლებლობა მიეცა.

# მანამდე არაფერი გეტკინოთ

ჰოკეის რუსი ვარსკვლავი სერგეი ფიოდოროვი ახლა მოცლილია და პარიზში დასეირნობს. სანამ მისი გუნდი „დეტროიტ რედ უინგზი" მწვრთნელ სკოტი ბოუმენის გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხს წყვეტს, ფიოდოროვი თავის კარგახნის შეყვარებულს, ჩოგბურთელ ანა კურნიკოვას ხვდება. ამათი ახლო ურთიერთობის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია, თუმცა ნამდვილ ცოლ-ქმრად ჯერაც ვერ ქცეულან. ანუშკა დაპირებია სერიოჟას, უიმბლდონის ჩემპიონი რომ გავხდები, ცოლად მაშინ გამოგყვებიო. ეს უიმედო დაპირება ჩანს, რადგან ჯერ კურნიკოვას უიმბლდონი კი არა, ბევრად უფრო პატარა ტურნირიც არ მოუგია და აწი რა იქნება, არ ვიცით. ისე კი, მაინც ერთად არიან.



HELLO



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# მეორე მატჩის წინ

ბილ უოლტონი ერთ დროს კალათბურთის ვარსკვლავი და დიდი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" და „ბოსტონ სელტიქსის" ერთ-ერთი ლიდერი იყო. ახლა ის კალათბურთის მიმომხილველი და წამყვანია. საგანგებო ენბეური ტელეშოუს ჩაწერა კი სწორედ გუშინ დასრულდა. ამ შოუს ათ-ათწუთიან სერიებად უჩვენებენ „ლეიკერს"-„ფილადელფიას" მატჩების ტელეტრანსლაციის დიდი შესვენებისას. ამასობაში კი, ერთ დიდბრძოლაგადახდილი „ფილადელფია", რომელმაც სტუმრად 107:101 მოუგო „ლეიკერსს" და ფინალში 1:0-ზე დაწინაურდა, ახალი ბრძოლებისთვის ემზადება. ტრავმები ბევრია, მათი მოშუშების დრო კი — ცოტა. ალენ აივერსონი იცინის, მაგრამ მასი ყინულში გამოხვეული მარჯვენა დასვენებას ითხოვს. აარონ მაკკის კი მარჯვენა ფეხის კოჭი ატკეჩია და ერთდღიან საგანგებო მკურნალობას მინდობილი ათამაშებს ბურთს.

# ალი-ფრეზერი



REUTERS ვერონიდან



თქვენ რომ ამ გაზეთს გადაფურცლავთ, ეს მუშტებშეკრული გოგოები უკვე კაი მაგარი ნაცემები იქნებიან. წუხელ აღსრულდა კრივის გაქნილ პრომოუტერთა ნაოცნებარი. ტარნინგ სტოუნ კაზინოში, ნიუ იორკის შტატის ქალაქ ვერონაში, ერთმანეთს ეკრივებიან მუჰამედ ალის 23 წლის ქალიშვილი ლეილა ალი (მარცხენა ფოტოზე) და ჯო ფრეზერის 39 წლის ქალიშვილი ჯეკი ფრეზერი. როგორც შექსპირი იტყოდა, მამათა შუღლი კვლავ ძველ მტრობად გადუქცევიათ... თუმცა, შექსპირული ამ ჩხუბში ცოტაა, შოუა და მეტი არაფერი. ფული ბლომად შევა. აი, მამათა ომი კი...

# შპინგისოდ

*მორჩა: როლან გაროსი მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის გარეშე გრძელდება. მარტინა ჩოგანს და ფოტოკამერას კბენს. ნახევარფინალში მისი მძლეველი (6:4, 6:3) ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი კი უკვე ახალ გამარჯვებაზე ფიქრობს.*



REUTERS პარიზიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge